# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი შაბათი 23 თებერვალი 2008 №040 (3264) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეიდან და მაისი
## რამდენიც უნდა აქიაქო, რაც არის ჩვენი, უნდა აქო




წინა სეზონის „დინამო“ — „ოლიმპი“ დიდი ჩხუბით დამთავრდა

[illegible] ფოტო



### კვირკველიამ რუბინი მოედანზეც მოირგო

გუშინ ყაზანის „რუბინმა“ ორი მახანაგური მატჩი გამართა და ქართველი ახალწვეულის, დავით კვირკველიას დებიუტიც შედგა — საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელმა წუხელ ნორვეგიულ „ალესუნდთან“ 2:0 მოგებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა.

არადა, „კრილია სოვეტოვთან“ დილის მატჩში (3:1) ყაზანელებმა ორი ქართველი, ნუკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე ათამაშეს და რუსულ პრესაში დაიწერა კიდეც, კვირკველიას ესპანურ ტესტ-მატჩებში არ უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, მან ახლახან მოიშუშა ტრავმა.

საქმე კი სხვაგვარად განვითარდა და ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან“, ცოტა არ იყოს, სკანდალურად წამოსულმა კვირკველიამ „რუბინი“ უკვე მოსინჯა.

**ქახა შალამბერიძე**

## ცეკვა კი არა, ჩხუბი მგლებთან

ევროპის ერთა თასი

**პორტუგალია — საქართველო**

23 თებერვალი. ლისაბონი. 19 საათი

## ლობუში თურმე ტურა ყოფილა

საქართველოს ნაკრებს ლისაბონში, პორტუგალიელ მგელ-ლობუშებთან საერთათასო მატჩის წინ პრობლემა შეუქმნეს. გვიან ღამით ჩვენების მწვრთნელ ლევან ცაბაძეს რომ დავუკავშირდით, გვითხრა, მოგვიანებით დამირეკეთ, პორტუგალიელებთან გაწევ-გამოწევა გვაქვსო.

ჩვენც რამდენიმე წუთი დავახანეთ და...

— ესენი ვინ ყოფილან, ნერვები დაგვაწყვიტეს. თავი მოვთოკე, თორემ მამაპაპურად შემოვულაწუნებდი — გვითხრა გაბრაზებულმა ლეონსიომ.

**— რა მოხდა?**

— აქამდე ყველაფერი კარგად იყო, ნორმალური სავარჯიშო პირობები დაგვახვედრეს. მაგრამ ახლა მატჩის ადგილას, ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე არ შეგვიშვეს. მოსამზადებელი სამუშაოები გვაქვს და თქვენთვის არ გვცალიაო. წესით კი, მატჩის წინა დღეს გუნდმა იმ სტადიონზე უნდა ივარჯიშოს, სადაც თამაში იქნება. მარტო დამრტყმელები, ლაშა მალალურაძე, ოთარ ბარკალაია და ირაკლი ყიასაშვილი შეუშვეს, მოედანს და კარს ალღო რომ აუღონ.

**— ხომ იცოდნენ, რომ უნდა გევარჯიშათ?**

— იცოდნენ და შეთანხმებულიც ვიყავით. მაგრამ... ეგ კი არა, დღეს, მატჩამდელ პრესკონფერენციაზე თავიანთი შემადგენლობა დამალეს. არადა, წესია, თამაშამდე 48 საათით ადრე უნდა გამოაცხადო. გვიმალონ და იყონ. მაგათ მოედანზე გავცემთ პასუხს.

**— მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინი რას ამბობს?**

— გაგიჟებულია, ეგეთი რამე ბენინშიც აღარ ხდებაო. მაგრამ ამათ ვერაფერი შევაგნებინეთ. ლეინმა ბიჭებს უთხრა, ისედაც კარგად ხართ ნავარჯიშები და ხვალ გადავუაროთო.

**— თამამი განცხადებაა...**

— პორტუგალიელებმა რაც უნდათ, ის ქნან, ჩვენი ბიჭები ჯანზე არიან და ხვალ ყველაფერზე აგებინებენ პასუხს.

**ბაჩო სვანიძე**

### სადღეისო განლაგება საბოლოოც ყოფილიყოს!

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 6 | 5 | 0 | 1 | +146 | 10 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +56 | 6 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 0 | 3 | +8 | 6 |
| ჩეხეთი | 7 | 5 | 0 | 7 | -313 | 0 |



[illegible] ფოტო

| ჩემპიონი | |
|---|---|
| დინამო | 9 |
| ზესტაფონი | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| **პლეი ოფი** | |
| სპარტაკი | 7 |
| მერანი | 2 |
| ლოკომოტივი | 2 |
| სიონი | 1 |
| ბათუმი | 1 |
| **დაქვეითება** | |
| დილა | 11 |
| ბათუმი | 11 |
| მერანი | 9 |
| ლოკომოტივი | 4 |
| სპარტაკი | 3 |
| მგლები | 1 |

# კაპიტნის სიტყვა

**ევროპაში** მიღებული პრაქტიკაა: ჩვენი კოლეგები გუნდების კაპიტნებს პროგნოზს ეკითხებიან — ვინ იპირველებს, ვინ გავარდება ლიგიდან... ამგვარი გამოკითხვა ჩემპიონატის ზოგად სურათსა და განწყობას ჰქმნის და ამიტომაც საკმაოდ საინტერესოა.

გამოკითხვა უფრო ხშირად სეზონის შუაში ეწყობა, როდესაც ძალთა განლაგება მეტ-ნაკლებად ცნობილია. კაპიტნებიც თავიანთ მოსაზრებებს თამამად გამოთქვამენ. ჰოდა, ჩვენც გავითვალისწინეთ ევროპელი კოლეგების გამოცდილება და აგერ ახლა, ჩემპიონატის განახლებამდე, უმაღლესი ლიგის 14-ივე გუნდის კაპიტანს ვკითხეთ — ვინ გახდება ჩემპიონი, რომელ გუნდს გაუხდება ადგილი პლეი ოფით შესანარჩუნებელი და რომლები დაქვეითდებიან. მოგეხსენებათ, მომავალ სეზონში საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირებას აპირებს და ამიტომაც პირველ ლიგაში სამი გუნდი ჩაინაცვლებს, ერთიც, მე-11-ადგილოსანი კი პირველი ლიგის მეორესთან გაარკვევს, უმაღლესში რომელმა ითამაშოს.

გამოკითხვიდან ჩანს, რომ კაპიტნების უმეტესობამ ჩემპიონობა თბილისის „დინამოს" უწინასწარმეტყველა, თუმცა პირველობის ყველაზე რეალური კანდიდატების კაპიტნებმა მომავალ ჩემპიონად სწორედ თავიანთი გუნდები დაასახელეს. საინტერესოა: არც ერთი აუტსაიდერის კაპიტანმა მისი გუნდი არც გასავარდნთა შორის მოიხსენია და არც საპლეიოფოთა შორის.

კაპიტნებმა სხვებზე მეტად „ბათუმი", „დილა" და „მერანი" „გაწირეს", ხოლო გადათამაშება ცხინვალის „სპარტაკს" „გამოუწერეს".

ვნახოთ, ვისი გამართლდება...

**ქობა ინასარიძე**











































| კაპიტანი (გუნდი) | ჩემპიონი | პლეი ოფი | დაქვეითება |
|---|---|---|---|
| გიორგი დავითნიძე (ამერი) | დინამო | სპარტაკი | ბათუმი, დილა, ლოკომოტივი |
| ნიკა გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | დინამო | სპარტაკი | მერანი, დილა, ბათუმი |
| ლაშა ჯანგიძე (მერანი) | დინამო | სპარტაკი | დილა, ბათუმი, მგლები |
| დავით სვანიძე (სიონი) | ზესტაფონი | მერანი | დილა, ბათუმი, ლოკომოტივი |
| პაატა გვირჯიშვილი (მესხეთი) | ზესტაფონი | ლოკომოტივი | დილა, ბათუმი, მერანი |
| ზურაბ ექნოია (მგლები) | დინამო | სპარტაკი | მერანი, ბათუმი, დილა |
| დავით დიღმელაშვილი (დინამო) | დინამო | სპარტაკი | ბათუმი, დილა, მერანი |
| გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი) | ზესტაფონი | — | — |
| სოსო გრიშიკაშვილი (ბორჯომი) | დინამო | სპარტაკი | ბათუმი, დილა, მერანი |
| ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | ვიტ ჯორჯია | მერანი | ბათუმი, დილა, სპარტაკი |
| რევაზ ქემოკლიძე (სპარტაკი) | ზესტაფონი | სიონი | მერანი, ლოკომოტივი, ბათუმი |
| ბეგლარ თედორაძე (ბათუმი) | დინამო | ლოკომოტივი | დილა, სპარტაკი, მერანი |
| გიორგი ბალაშვილი (დილა) | დინამო | სპარტაკი | ბათუმი, მერანი, ლოკომოტივი |
| მიხეილ მახვილაძე (ოლიმპი) | დინამო | ბათუმი | მერანი, დილა, სპარტაკი |

# ქებაძეც ბათუმში



**დღეს** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება.

პირველ წრეში „ბათუმმა" ოდენ 4 ქულა აიღო და ბოლო საფეხურზეა. ზღვისპირელები წუმპიდან ამოსვლას ლამობენ და ფეხბურთელებსაც იმატებენ, რათა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნონ.

გიორგი თურმანიძე, ზვიად სტურუა და ზვიად ქუთათელაძე სეზონის ბოლომდე „ბათუმში" დარჩებიან. გუშინ კი რუსთავის „ოლიმპის" ნახევარმცველი ლაშა ქებაძეც შეიმატეს.

„ზესტაფონის" სამი ფეხბურთელის, გოგი ფიფიას, გიორგი ჭელიძის და გაგა ჩხეტიანის საქმე ჯერ გაურკვეველია — იმერული კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია უცხოეთიდან უნდა დაბრუნდეს და სწორედ მან უნდა გადაწყვიტოს, გაუშვას თუ არა ისინი იჯარით.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ქართველებმა ამკარი აიკლეს

**მოლდოვურ** „დაჩიაში" რამდენიმე ქართველმა სცადა მოხვედრა, თუმც საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ამ კლუბიდან წამოსულ ვიტალი დარასელიას ოდენ ლევან კორღალიძე ჩაენაცვლება.

„დაჩიამ" კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა და პერმის „ამკარი" 4:2 დაამარცხა. ორივე ქართველი მოედანზე იყო და ძალიანაც იაქტიურეს — ჯაბა დვალმა ორჯერ გაუტანა პერმელებს, ერთხელაც კორღალიძემ აიძულა მეტოქის მეკარე, ბურთი ბადიდან გამოეტანა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ინგლისი
I ლიგა. XXXIV ტური
ჰარტლპული 0:1 ნორთჰემპტონი
სუონსი 1:0 ლუთონი

## პორტუგალია
სუპერლიგა. XX ტური
გიმარაეში 1:0 ნავალი

## ფინეთი
ლიგის თასი. IV ტური
ჰიკ 2:1 ტამპერე
ჰაკა 1:2 ლაჰტი
იარო 1:0 ტურკუ

## ავსტრია
ბუნდესლიგა. XXV ტური
შტურმი 1:2 ლინცერი

## თურქეთი
სუპერლიგა. XXIII ტური
დენიზლი 1:2 ბეშიქთაში

## პოლონეთი
I ლიგა. XVIII ტური
ლოძი 0:0 იაგელონია
კორონა 1:1 ვისლა

## ხორვატია
I დივიზიონი. XX ტური
ინტერი 1:1 ზაგრები

## უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. XVI ტური
დებრეცენი 3:0 დიოშდიორი

## რუმინეთი
I ლიგა. XX ტური
ფარული 0:0 გლორია
დინამო 2:1 ჩაჰლაული

## გერმანია
ბუნდესლიგა. XXI ტური
ბოხუმი 2:1 ჰანოვერი
II ბუნდესლიგა. XXI ტური
კიოლნი 0:0 მიუნხენი
ჰოფენჰაიმი 2:0 ფრაიბურგი
მაინცი 2:2 კარლ ცაისი

## საფრანგეთი
II დივიზიონი. XXV ტური
ამიენი 4:0 აიაჩო
ანჟერი 1:1 ნიორი
ბასტია 2:1 ლიბურნი
ბრესტი 1:0 გრენობლი
შატორუ 1:0 ბულონი
კლერმონი 1:0 გენიონი
მონპელიე 0:0 გენგამი
რეიმსი 0:1 ტრუა
ლე ავრი 1:0 დიჟონი

## ჰოლანდია
ერედივიზიონი. XXVI ტური
სპარტა 2:1 უტრეხტი
II დივიზიონი. XXIX ტური
დენ ჰააგი 1:1 ალმერე
ემენი 2:1 ოსი
დენ ბოსხი 3:1 იგლსი
დორდრეხტი 1:1 ჰაარლემი
ზვოლე 7:0 მაასტრიხტი
სიტარდი 3:0 ეინდჰოვენი
ჰელმონდი 2:0 როზენდალი
ვალვაიკი 2:3 ვოლენდამი
ტელსტარი 4:4 აპელდორნი
ვეენდამი 4:4 კამბური

## ბელგია
იუპილერლიგა. XXIII ტური
გენკი 0:1 სენტ ტრუიდენი

## ამხანაგური მატჩები
ორჰუსი 2:0 სკივე
ოლბორგი 2:2 ლილესტრიომი
კოპენჰაგენი 2:2 ვიკინგი
ალესუნდი 0:2 რუბინი
მიდტიულანდი 1:0 ჰერფიოლგე
ლინი 0:0 (2:4პ) ბრონდბიუ

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა · II წრე. 14 ტური



ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩი მცხეთაშია: „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონი“

# ორი და ზევრისმთქმელი: სასწორზე ჩემპიონობაა

ქართულ ვებგვერდ www.forum.ge-ზე ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ასეთი თემა გახსნა: „როგორ შევავსოთ ცარიელი ტრიბუნები?“ რა ადვილი საპასუხოა, არა? მივიდეთ სტადიონზე და შეივსება.

...მაგრამ საქართველოში მხოლოდ ეროვნული ნაკრების ან ხანდახან ახალგაზრდული ნაკრების მატჩებზე თუ დადის ბლომად გულშემატკივარი, ეროვნული ჩემპიონატის თამაშებისას კი მაყურებელთა უმეტესობას ფეხბურთელთა ოჯახების წევრები და მეგობრები შეადგენენ. ამ ზამთარს კი არც ახალი სტადიონი წამოჭიმულა, არც რომელიმე კლუბი გამდიდრებულა იმდენად, რომ ხმაურიანი ტრანსფერი გაეკეთებინა...

შეგვიძლია, კითხვა ასეც დავსვათ: რას ვთავაზობთ სტადიონზე მიმსვლელ ქომაგს?

რისი გაქანებაც გვაქვს, იმას.

ოღონდ, მთლად კრიტიკულნიც ნუ ვიქნებით — ამ ჩემპიონატში ნიჭიერი ფეხბურთელებიც თამაშობენ და კარგი მატჩებიც იმართება ხოლმე.

„დინამო“ — „ოლიმპი“, ჩემპიონატის ლიდერი ჩემპიონის წინააღმდეგ, ორი უცხოელი მწვრთნელის შეხვედრა.

ორივე გუნდი, ასე თუ ისე, ნორმალურად მოემზადა. დინამოელებს ამის პრობლემა არასდროს ჰქონიათ, ოლიმპელებმა კი, პარადოქსია, მაგრამ, შარშან უცხოური შეკრების გაუვლელად მოიგეს ჩემპიონობა, წლეულს კი ჯერ „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშეს და შემდეგ კიდევ ერთი შეკრება გაიარეს.

პირველ წრეში რუსთაველებმა შინ 0:2 დათმეს დუშან უჰრინის გუნდთან, თუმცა მაშინ ანატოლი პისკოვეცი ჯერ უკრაინაში იყო და შემადგენლობაც სხვანაირი ჰყავდათ ქვემოქართლელებს.

დუშან უჰრინის გუნდს გიორგი ფეიქრიშვილი და სანდრო კობახიძე აღარ ჰყავს, სამაგიეროდ, გიორგი ნერგაძე და შოთა გრიგალაშვილი დაუბრუნდნენ. ტესტ-მატჩებში „დინამომ“ ძალიან ცუდი შედეგები აჩვენა, ვერც ცხინვალის „სპარტაკს“ მოუგო თასზე და ვნახოთ, „ოლიმპი“ ამას როგორ გამოიყენებს.

ოლიმპელთა შანსია გაზრდილი მეკარის, დიდიე ოვონოს დისკვალიფიკაციაც...

*სავარაუდო შემადგენლობები:*

***დინამო:*** *გ. ლორია, შ. კაშია, კრშკო, გ. კაშია, დობეში, დილმელაშვილი, ხმალაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, შ. გრიგალაშვილი, აკირემი.*

***ოლიმპი:*** *მერლანი, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, სილაგაძე, მგელ-*

*აძე, ჯოჯუა, გეწაძე, კახელიშვილი, სტეფანიშვილი, ომელიანოვი, ზ. მეტრეველი.*

დღესვეა აუტსაიდერთა მატჩი: „ბათუმი“ გორის „დილას“ უმასპინძლებს და ძალიან გაგვიკვირდება, რომ ვერ მოიგოს — ზღვისპირელებმა ხომ საკმაოდ გააძლიერეს შემადგენლობა.

დიდი შანსია, „ბათუმმა“ „ზესტაფონიდან“ გოგი ფიფია და გიორგი ჭელიძეც დაიმატოს.

ხვალინდელი სამი შეხვედრიდან ყველაზე საინტერესო, ცხადია, მცხეთაშია, სადაც „ვიტ ჯორჯია“ „ზესტაფონს“ ხვდება და თუ მოუგებს, ქულებით გაუთანაბრდება.

პირველი წრის საწყის და ბოლო ტურებს თუ არ ჩავთვლით, ფეროელებმა მიჯრით 11 თამაში მოიგეს, მაგრამ მაინც ორქულიანი ჩამორჩენა აქვთ ლიდერ „დინამოსთან“. ასე რომ, თავად წარმოიდგინეთ, რა მნიშვნელობის მატჩებია დღეს და ხვალ — შესაძლოა, სწორედ აქ წყდება ჩემპიონობის ბედი.

საინტერესო იქნებოდა ნიკა გელაშვილის თამაში ყოფილი გუნდის წინააღმდეგ, თუმც ყველაზე ხმაურიანმა შიდა-ტრანსფერმა „ზესტაფონს“ ხეირი ჯერ ვერ მოუტანა: გელაშვილმა ამხანაგურ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო.

საერთოდაც, ფეროელებს თავდასხმაში შედარებით უჭირთ, რეზერვი არ გააჩნიათ — ზურაბ იონანიძე, რაც უნდა იყოს, ასაკშია, ეტიენ ბიტოო ვერ ვარგობს, ყველაზე ფერიანად კი ისევ ბექა გოცირიძე გამოიყურება.

და „ვიტ ჯორჯია“? გელაშვილის შემცვლელად ბაჩანა ცხადაძე აიყვანეს და რამდენად გაამართლებს, ვნახოთ...

*სავარაუდო შემადგენლობები:*

***ვიტ ჯორჯია:*** *ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმ-*

*აძე, სახოკია, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ბ. ცხადაძე.*

***ზესტაფონი:*** *ქანთურია, ს. თოდუა, ლობჟანიძე, საჯაია, ხიდეშელი, შ. ღონღაძე, ნ. კვასხვაძე, ჟონატასი, ბენაშვილი, ბ. გოცირიძე, ბიტოო.*

საინტერესოა „ამერი“ — „ლოკომოტივის“ ჯახიც, მით უმეტეს, რომ პირველ წრეში ვაკელებმა გლდანელებს სენსაციურად მოუგეს (2:1). გიორგი ჩიხრაძის (ამ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო სათადარიგოთა სკამიდან ვერ ითავკაცებს) გუნდი მისთვის უჩვეულო, მეექვსე ადგილზეა, უკვე 6 წაგება „მოაქუჩა“ და ხვალაც ვერმოგება ნაღდად არ ეპატიება. ის კია, „ამერმა“ საამწეროდ ხმაურიანი ტრანსფერი ვერ გაახერხა და ტრავმა-დისკვალიფიკაციებსაც უჩივის, მაგრამ არც „ლოკომოტივია“ ძლიერი... გიორგი კიკნაძის გუნდმა თურქული შეკრება გაიარა, თუმცა ბევრ ფეხბურთელს გრიპი შეეყარა და მთლად ნაყოფიერი სამზადისი ვერ გამოუვიდათ.

აუტსაიდერთა ჯგუფიდან „მერანი“ ყველაზე უხმაუროდ „მოიქცა“ ტრანსფერების ამბავში — შემადგენლობა თითქმის არ შეუცვლია, მისი სახვალიო მეტოქე „ბორჯომის“ შემადგენლობა კი პრაქტიკულად ყოველ ექვს თვეში იცვლება და მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძეც სულ წუხს, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ვიგებ, ვისთან მომიწევს მუშაობაო. არადა, კურორტელებს პირველ წრეში მართლაც კარგი გუნდი ჰყავდათ და მე-4 ადგილზე არიან...

ტურის ორი მატჩი 26 თებერვლისთვის გადაიდო დიდთოვლობის გამო: „მგლები“ „მესხეთს“ უმასპინძლებს, „სპარტაკი“ კი გორში „სიონს“ დაუხვდება. საინტერესოა: ეს ოთხი გუნდი ერთმანეთის მიყოლებით გამწკრივებულა ცხრილში მეშვიდე-მეათე ადგილებზე.

**ილია ნანობაშვილი**

ბათუმი. 23 თებერვალი. 14 საათი. ადელი

**ბათუმი — დილა**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, ზვ. ერქვანია, პ. დოგრაშვილი

თბილისი. 23 თებერვალი. 14.10 საათი. ეროვნული

**დინამო — ოლიმპი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ფიფია, ა. ნონიკაშვილი

თბილისი. 24 თებერვალი. 14 საათი. ამერი

**ამერი — ლოკომოტივი**

მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი, ვ. გუმბერიძე

თბილისი. 24 თებერვალი. 14 საათი. მერანი

**მერანი — ბორჯომი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, ი. ურუშაძე

მცხეთა. 24 თებერვალი. 14 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ვ. ელისაბედაშვილი

ზუგდიდი. 26 თებერვალი. 14 საათი. გ. თუთბერიძე

**მგლები — მესხეთი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. ჯვარიძე, დ. კურტანიძე, გ. დოგრაშვილი

გორი. 26 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

**სპარტაკი — სიონი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, ლ. თოდრია, ო. მოლოდინაშვილი, ლ. სილაგავა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 1 | 2 | 25:8 | 31 |
| ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| ამერი | 13 | 7 | 0 | 6 | 21:16 | 21 |
| მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

**დისკვალიფიცირებულნი:**

„ოლიმპი“: გიორგი გაბედავა;
„ზესტაფონი“: პოლ კესანი;
„ვიტ ჯორჯია“: ალიკ მიქაბერიძე;
„მერანი“: ლევან სარალიძე;
„მესხეთი“: მიხეილ თაყაძე;
„ლოკომოტივი“: ზვიად ჩხეტიანი;
„სპარტაკი“: თორნიკე თარხნიშვილი;
„დინამო“: დიდიე ოვონო;
„ბათუმი“: კახა მახარაძე, გიორგი ოქრუაშვილი, ავთანდილ კუნჭულია (მწვრთნელი);
„ამერი“: ზურაბ ქვაჩახია, გიორგი ელბაქიძე, მამუკა კვანტალიანი (ადმინისტრატორი), გიორგი ჩიხრაძე (მწვრთნელი).

**ფეხბურთი**

თბილისი. ამერის სტადიონი

უმაღლესი ლიგა. მეთოთხმეტე ტური

**24 თებერვალი**

**ამერი — ლოკომოტივი**

თბილისი — თბილისი

დასაწყისი 14 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

**საქართველოს** მე-19 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან განახლდება ინტერნეტ-თამაში „ჩემი ფეხბურთი“. შეგახსენებთ: თამაში უფასოა, ყოველ მომხმარებელს შეუძლია ერთი გუნდის რეგისტრაცია. დარეგისტრირება შესაძლებელია ნებისმიერ დროს სეზონის დაწყებამდე ან ჩემპიონატის მსვლელობისას, რეგისტრაციის შემდეგ პირველ რიგში უნდა გაკეთდეს განაცხადი ასეთი შემადგენლობით: 1 მწვრთნელი, 2 მეკარე, 5 მცველი, 5 ნახევარმცველი, 3 თავდამსხმელი.

ყოველ ფეხბურთელს გააჩნია პროფლიგის მიერ განსაზღვრული ფასი. თქვენი გუნდის საერთო ფასი არ უნდა აღემატებოდეს 9 მილიონ ლარს. ერთი გუნდიდან ასარჩევი ფეხბურთელების რაოდენობაზე რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. მოთამაშეთა სია შეიძლება ნახოთ მისამართზე: **www.myfootballgeopfl.com**

*პროფლიგის პრესსამსახური*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ვიტ ჯორჯიას დანაკლისი არასოდეს დასტყობია

## გიორგი დათუნაიშვილი: ჩვენი მიზანი ევროპაა

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" სეზონის დასაწყისში ჩემპიონობის ფავორიტად არავინ მიიჩნევდა, თუმც ვეტერინარებმა პირველ წრეში კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით კონკურენტებთან და მესამე ადგილზე არიან. ლიდერთან ჩამორჩენა ხუთი ქულაა, რაც შუა სეზონისთვის დიდი სხვაობა სულაც არ არის. რამდენად შესძლებს „ვიტ ჯორჯია" ამ სხვაობის გაბათილებას, ეს უკვე მის მარიფათზე იქნება დამოკიდებული.

„ვიტ ჯორჯიამ" შეკრებაც ნაყოფიერი გაირა — ჯერ საქართველოში, შემდეგ თურქეთში. ზეგ კი პირველი თამაში აქვს, თანაც როგორი: მცხეთას „ზესტაფონი" სტუმრობს. სეზონისწინა მზადებასა და „ზესტაფონთან" მიახლოებულ მატჩზე სასაუბროდ „ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთ ლიდერ გიორგი დათუნაიშვილს შევეხმიანეთ...

— როგორი გამოდგა თურქული შეკრება?

— კარგი შეკრება იყო — შესანიშნავი მოედნები და სავარჯიშო პირობები გვქონდა. ამინდმაც ხელი შეგვიწყო. გუნდი ნაყოფიერად მოემზადა, დანარჩენს კი ოფიციალური მატჩები გვიჩვენებს. ვფიქრობ, მეორე წრეში პირველზე უკეთესად ვითამაშებთ.

— გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და მათ გარეშე არ გაგიჭირდებათ?

— შეკრებამ დაგვანახა, რომ წინა ხაზში ცოტა გვიჭირს — ოთხ მატჩში მხოლოდ ორი გოლი გავიტანეთ, აქედან ერთი მცველმა შეაგდო. ნიკა გელაშვილი ნამდვილად დიდი ძალა იყო, თუმც ჯერ მეორე წრის დასაწყისია და თავიდან ყველას უჭირს, თავდამსხმელებიც თანდათან მოუმატებენ. ისე, ყოველ სეზონს დანაკლისით ვიწყებთ, მაგრამ ხელწამოსაკრავი გუნდი არასდროს ვყოფილვართ.

— ბოლო საკონტროლო მატჩში არ გამოჩენილხარ — ეს მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო?

— ფეხი ვიტკინე და გართულებებს მოვერიდე. ამიტომ გადავწყვიტეთ, დამესვენა და თამაში გამომეტოვებინა.

— „ზესტაფონთან" სათამაშოდ მზად ხარ?

— კი. ტრავმა სრულად მოვირჩინე, დასვენებამ მარგო.

— მეორე წრის პირველივე ტურში პრინციპული მატჩში გაქვთ. რას იტყვი მეტოქეზე?

— „ზესტაფონი" ძლიერი გუნდია. როგორც ვიცი, მეორე წრისთვის ისინიც კარგად მოემზადნენ. ახლახან თასზეც მოიგეს თამაში — რუსთავის „ოლიმპთან" სტუმრად მოგებაც მათ სიძლიერეზე მეტყველებს. რთული შეხვედრა იქნება, მაგრამ, ვფიქრობ, საინტერესოც და გულშემატკივარი ნამდვილად არ მოიწყენს.

— შანსებს როგორ შეაფასებ?

— თანაბრად, რადგან თამაში მცხეთაშია.

— როგორ ფიქრობ, მიმდინარე სეზონში „ვიტ ჯორჯია" რომელი ადგილის დაკავებას მოახერხებს?

— ჩვენი მთავარი ამოცანა უეფას თასზე თამაშის უფლების მოპოვებაა — თუ მეტს შევძლებთ, ცხადია, უკეთესი იქნება.

— კონკურენტებად ვის თვლი?

— „დინამოს" და „ზესტაფონს". კიდევ არიან კარგი გუნდები — „ოლიმპი", „ამერი"... მაგრამ პირველ წრეში ბევრი ქულა დაკარგეს და სამეულისთვის ბრძოლა გაუჭირდებათ.

— ერთიც, „ვიტ ჯორჯიადან" შენი ძმა, პაატა წავიდა. ახლა სად არის?

— ჯერჯერობით ისევ საქართველოშია და ინდივიდუალურად ემზადება. რაღაც წინადადებას ელის და ვნახოთ, რა გამოვა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საუკეთესო იაშვილი: 26,6 პროცენტით



„კარლსრუე" — „ლევერკუზენის" ერთი კვირის წინანდელ მატჩში ალექსანდრე იაშვილი საუკეთესო რომ იყო, ამაზე უკვე ვწერდით. ჩვენიანმა „კიკერისგან" 1,5 შეფასება მიიღო, რაც გერმანიაში თითქმის საუკეთესო მაჩვენებელია — 1,0-ს უიშვიათესად წერენ.

სასიამოვნოა, რომ იაშვილის გარჯა „კარლსრუეს" გულშემატკივრებმაც დააფასეს. ქართველმა იმ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში ყველა კარლსრუელს აჯობა — ხმების 26,6 პროცენტი მიიღო. მეორე-მესამეზე კი „ლევერკუზენთან" გოლების ავტორები — კენედი და ფრაისი გავიდნენ.

**ილია ნანობაშვილი**

# თეთრაძემ ანჟელი ქართველობა დაიცვა

**მახაჩყალის** „ანჟი" ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს და მომავალში ქართველი გულშემატკივარი ამ გუნდის შედეგებით აუცილებლად დაინტერესდება, რადგან ომარ თეთრაძის გუნდში შვიდი ქართველი ითამაშებს.

„ყველა ქართველს თამამად შეუძლია, ძირითადში მოხვდეს, ამიტომაც არიან ისინი გუნდში. სადღეისოდ მათით კმაყოფილი ვარ. ცოტა მეტს ველი გიორგი ნავალოვსკისგან. რევაზ ჯიქიას კი შეუძლია, კონკურენცია გაუწიოს გოჩა ხოჯავას. კარგია რევაზ ბარაბაძეც, მაგრამ მას ჯერ რუსულ ფეხბურთთან ადაპტაცია სჭირდება" — განაცხადა თეთრაძემ.

დაღესტნელთა მწვრთნელს ჟურნალისტები იმასაც ეკითხებიან, გუნდში შვიდი ქართველის ყოფნა დაჯგუფებას ხომ არ გამოიწვევსო.

„ყოველთვის ინტერესდებიან, რატომ მოვიწვიე გუნდში ამდენი ქართველი. იმიტომ, რომ რუსები ჩვენთან სათამაშოდ უხალისოდ მოდიან, ქართველები კი — პირიქით. სიმართლე გითხრათ, არც მე მინდოდა გუნდში ამდენი ქართველი, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. რაც შეეხება დაჯგუფებებს... მერწმუნეთ, ნამდვილად არ იქნება, არც ქართული, არც დაღესტნური. „ანჟი" მეგობრული გუნდია" — ამშვიდებს ჟურნალისტებს თეთრაძე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კაუნასის ორიდან ერთი მანჩხავასია



**ლიტვურმა** „კაუნასმა" თურქულ შეკრებაზე ბელარუსულ „მტზ-რიპოს" 2:0 სძლია და მეორე გოლი ჩვენიანმა ნუკრი მანჩხავამ შეაგდო თავისივე მოპოვებულ პენალტით.

მანჩხავამ და აკაკი ხუბუტიამ თითო ტაიმი ითამაშეს, გივი კვარაცხელიას კი ტრავმა აწუხებს და მინდორზე გასვლა ვერ შეძლო.

ისიც ვთქვათ, რომ მანჩხავამ მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა, ხუბუტიამ კი ცენტრალურ მცველად.

**ილია ნანობაშვილი**

# ლატვიური შეკრება-გამოკლება

**მორიგი** საკონტროლო მატჩი გამართა თურქულ შეკრებაზე მყოფმა ლატვიურმა „დინაბურგმა". თამაზ პერტიას შეგირდებმა ბარნაულის „დინამო" 3:1 დაამარცხეს.

90 წუთი ითამაშა ჯერ ისევ უკონტრაქტოდ მყოფმა შოთა ბაბუნაშვილმა, ბაქარ გიორგაძე კი მეორე ტაიმში შევიდა.

თურქეთშივეა ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსიც", რომელმაც 0:1 წააგო პოლონურ „ლეხთან".

მენთეშაშვილმა ტრავმა კი მოირჩინა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ მწვრთნელი ჩვენებურის მატჩებში დატვირთვას ერიდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რევიშვილი ძირითადში დაბრუნდა

## კვირკველია ჯერ უქმობს



**ნუკრი რევიშვილი** რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა ყაზანის „რუბინის" ძირითადში, ლაშა სალუქვაძის მსგავსად, 90 წუთი ითამაშა სამარის „კრილიასთან" ამხანაგურ მატჩში, რომელიც ესპანურ ლა მანგაში გაიმართა.

ყაზანელებმა 3:1 მოიგეს. არ უთამაშია „რუბინის" ახალწვეულ დავით კვირკველიას, რომელიც, სავარაუდოდ, „რუბინში" პირველ მატჩს ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ჩაატარებს.

**ილია ნანობაშვილი**

# ლუჩმა გვაზავას ენერგია მოუწონა



**ვლადივოსტოკის** „ლუჩ-ენერგია" საკონტროლო მატჩში მოლდოვურ „ტირასპოლს" 1:1 ეთამაშა. ამ მატჩში ლევან გვაზავას, რომელიც გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლება, არ უთამაშია.

„ვლადივოსტოკელთა გუნდში გამოცანად რჩება, ვინ ითამაშებს გამთამაშებლის პოზიციაზე. სადღეისოდ კანდიდატი ერთია — გვაზავა. მართალია, ქართველი გუნდის ლიდერი არასდროს ყოფილა, თუმც არასტანდარტული და საჭირო თამაშით შეუცვლელ ფიგურად რჩება" — წერს რუსული პრესა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ხუთშაბათს ხუთიანები

## უეფას თასი 2007-2008
### 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ლევერკუზენი** (გერმანია) 5:1 **გალათასარაი** (თურქეთი) (0:0)
1:0 ბარბარესი (11), 2:0 კისლინგი (13), 3:0 ბარბარესი (22), 4:0 ჰაგუი (55), 5:0 შნაიდერი (61პ), 5:1 ბარუსო (86პ)

**ჰამბურგი** (გერმანია) 0:0 **ციურიხი** (შვეიცარია) (3:1)

**სპარტაკი** (რუსეთი) 2:0 **მარსელი** (საფრანგეთი) (0:3)
1:0 პავლენკო (39), 2:0 პავლიუჩენკო (85)

**პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) 1:1 **რეინჯერსი** (შოტლანდია) (0:0)
1:0 გუმასი (12), 1:1 ნოვო (81)

**ბაიერნი** (გერმანია) 5:1 **აბერდინი** (შოტლანდია) (2:2)
1:0 ლუსიო (13), 2:0 ვან ბუიტენი (36), 3:0, 4:0 პოდოლსკი (71, 77), 4:1 ლოველი (84), 5:1 ვან ბომელი (86)

**ატლეტიკო** (ესპანეთი) 0:0 **ბოლტონი** (ინგლისი) (0:1)

**ბორდო** (საფრანგეთი) 1:1 **ანდერლეხტი** (ბელგია) (1:2)
0:1 შატელე (34), 1:1 კავენაგი (71)

**ფიორენტინა** (იტალია) 2:1 **რუსენბორგი** (ნორვეგია) (1:0)
1:0 ლივერანი (37), 2:0 კაჩა (80), 2:1 ი. კონე (88)

**ხეტაფე** (ესპანეთი) 3:0 **აეკ** (საბერძნეთი) (1:1)
1:0 გრანერო (45), 2:0 კონტრა (83პ), 3:0 ბრაულიო (84)

**ჰელსინგბორგი** (შვედეთი) 1:2 **პსვ** (ჰოლანდია) (0:2)
0:1 ზონეველდი (47), 0:2 ლაზოვიჩი (65), 1:2 კასტანი (81)

**ტოტენჰემი** (ინგლისი) 1:1 **სლავია** (ჩეხეთი) (2:1)
1:0 ოჰარა (7), 1:1 კრაიჩიკი (51)

**ვილიარეალი** (ესპანეთი) 2:1 **ზენიტი** (რუსეთი) (0:1)
0:1 პოგრებნიაკი (31), 1:1 ფრანკო (75), 2:1 ტომასონი (90)

**ბაზელი** (შვეიცარია) 0:3 **სპორტინგი** (პორტუგალია) (0:2)
0:1 პერეირინია (2), 0:2, 0:3 ლიდსონი (41, 51)

**ევერტონი** (ინგლისი) 6:1 **ბრანი** (ნორვეგია) (2:0)
1:0 აიეგბენი (36), 2:0 ჯონსონი (41), 3:0 აიეგბენი (54), 3:1 ვან მოენი (60), 4:1 არტეტა (70), 5:1 აიეგბენი (71), 6:1 ჯონსონი (90)

**ნიურნბერგი** (გერმანია) 2:2 **ბენფიკა** (პორტუგალია) (0:1)
1:0 ხარისტიასი (58), 2:0 საენკო (65), 2:1 ო. კარდოზო (88), 2:2 დი მარია (90)

**ბრაგა** (პორტუგალია) 0:1 **ვერდერი** (გერმანია) (0:3)
0:1 კლასნიჩი (78)

### მერვედფინალის წილისყრა

**ანდერლეხტი** (ბელგია) — **ბაიერნი** (გერმანია)
**რეინჯერსი** (შოტლანდია) — **ვერდერი** (გერმანია)
**ბოლტონი** (ინგლისი) — **სპორტინგი** (პორტუგალია)
**ლევერკუზენი** (გერმანია) — **ჰამბურგი** (გერმანია)
**ხეტაფე** (ესპანეთი) — **ბენფიკა** (პორტუგალია)
**ფიორენტინა** (იტალია) — **ევერტონი** (ინგლისი)
**ტოტენჰემი** (ინგლისი) — **პსვ** (ჰოლანდია)
**მარსელი** (საფრანგეთი) — **ზენიტი** (რუსეთი)

*პირველი მატჩები 6 მარტს გაიმართება, საპასუხოები — 12-13 მარტს*

**თურქეთის** ჩემპიონატის ლიდერი „ლევერკუზენმა" შეარცხვინა, „ბაიერნს" „აბერდინის" გადაგორება არ გასჭირვებია, „ვერდერმა" და „ჰამბურგმა" პირველივე მატჩში მოაგვარეს საქმე, ხოლო „ნიურნბერგს" ორი წუთი რომ გაეძლო, მერვედფინაში ხუთი გერმანული გუნდი გავიდოდა.

თითო მონაწილე შემორჩათ ბელგიას, შოტლანდიას, ესპანეთს, იტალიას, საფრანგეთს, ჰოლანდიასა და რუსეთს. პრემიერლიგიდან სამი დარჩა, პორტუგალიიდან კი ორი.

ბუნდესლიგელებისთვის განსაკუთრებული ხუთშაბათი გამოდგა, რადგან ხუთიდან ორმა ხუთ-ხუთი გოლი გაიტანა.

„ლევერკუზენის" ძირითადი მეკარე რენე ადლერი ტრავმირებული იყო და მის ნაცვლად კარში ბენედიქტ ფერნანდესი იდგა, მაგრამ დებიუტანტს საქმე არ ჰქონია. მასპინძლებმა „გალათასარაის" საჯარიმოდან ცხვირი არ გამოაყოფინეს. ტაიმის ნახევარი რომ მიილია, „ლევერკუზენი" უკვე 3:0-ს იგებდა. სერგეი ბარბარესს უეფას თასზე გოლი არ გაეტანა და თერთმეტ წუთში დუბლი მიითვალა. მის გოლებს შორის ერთი კისლინგმა შეაგდო და „გალა" უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გერმანელებმა მეორე ტაიმიც პირველივით დაიწყეს და თხუთმეტ წუთში სხვაობა ხუთამდე აიყვანეს. მეკარის მოგერიებულს ჰაგიმ დაამატა, შნაიდერმა კი პენალტით იხეირა. აჰმედ ბარუსომ თამაშის მიწურულს თერთმეტი მეტრიდან გაიტანა და აბა, ეს რაღას უშველიდა ლევერკუზენში ჩასულ ხუთიათასამდე თურქ ფანს.

მეორე გუნდი, რომელიც გერმანიიდან ხუთშაბათს 1:5-ით გაფრინდა, „აბერდინია". მიუნხენის „ბაიერნი" „ლევერკუზენს" არ ჩამორჩა და შოტლანდიელებს ხუთით გაუმასპინძლდა. აქედან ორი მცველებმა გაიტანეს. ლუსიომ საჯარიმო დარტყმით შეაგდო, ვან ბუიტენმა კი — თავით. გამოჯანმრთელებულმა ლუკაშ პოდოლსკიმაც გაიხარა და დუბლი შეასრულა. სტივ ლოველმა ერთი გაქვითა, მაგრამ ვან ბომელმა არ შეარჩინა და ოთხბურთიანი სხვაობა აღადგინა.

ბუნდესლიგის მაჩანჩალა „ნიურნბერგმა" „ბენფიკა" კინაღამ გაისტუმრა მეთექვსმეტედფინალიდან. ხარისტეასმა და საენკომ მეორე ტაიმის შვიდწუთიან მონაკვეთში ორი გოლი შეაგდეს და საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მაგრამ ლისაბონელმა „არწივებმა" კლანჭები ბოლოს გამოაჩინეს. კარდოსომ ერთი გაქვითა, მეტოქე დაიბნა და მანვე დი მარია წუთი შემდეგ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა — 2:2.

„ჰამბურგი" „ციურიხს" უგოლოდ გაეყარა, ხოლო „ვერდერმა" „ბრაგას" მეორე მატჩიც მოუგო ივან კლასნიჩის გოლით, რომელმაც ბურთი მკერდით ჩამოიღო და ისე დაარტყა, რომ მეკარეს შანსი არ დაუტოვა.


„ევერტონის" ექვსი გოლიდან სამი აიეგბენის (№22) ანგარიშზეა

„ზენიტს" „ვილიარეალთან" მწვრთნელიც გაუძევეს და ორი ფეხბურთელიც, მაგრამ მერვედფინალში მაინც გაძვრა. პირველ მატჩში გოლის გამტანმა პაველ პოგრებნიაკმა ამჯერადაც იყოჩაღა და სტუმრები დააწინაურა. მასპინძლები მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე მიაწყდნენ მეტოქის საჯარიმოს და დალ ტომსონის წაქცევისთვის მსაჯმა შირკოვი გააძევა. „ვილიარეალმა" კაცმეტობით ისარგებლა და გილერმო ფრანკომ თავით შეაგდო. „ზენიტის" მწვრთნელი დიკ ადვოკაატი მსაჯს უხსნიდა, რომ გოლისას მასპინძლებმა წესი დაარღვიეს, მაგრამ არბიტრს ჰოლანდიელის ახსნა-განმარტება არ მოეწონა და ტრიბუნაზე მიაბრძანა.

დაცვაში გამოკეტილმა „ზენიტმა" დროის გაწელვა დაიწყო, რასაც შირლი „ემსხვერპლა" და ისიც შირკოვის გზას გაუყენეს. ცხრაკაცა სტუმრები მასპინძლებმა საჯარიმოში გამოამწყდვიეს და დალ ტომასონმა გაიტანა, მაგრამ მესამისთვის „ვილიარელს" დრო აღარ ეყო.

ორი ფეხბურთელი გაუძევეს „ბორდოსაც" და „ანდერლეხტს" მეორე გოლი ველარ გაუტანა, რათა თამაში დამატებით დროში გადაეყვანა. სტუმარმა შატელმა ცხრიანში შეაგდო ბურთი, ხოლო კავენაგიმ მიკუს პასით გაათანაბრა. ტრემულინასი ჟილეს მოჩეხვისთვის გაგდეს, შალმემ კი მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და თანაგუნდელს დაეწია.

„ხეტაფე" პირველადაა უეფას თასზე და უკვე მერვედფინალს უწია. ესპანელები აეკ-თან ტაიმის ბოლოს დაწინაურდნენ — კონტრას პასი გრანერომ შეირგო და ახლოდან გაიტანა. მერე კონტრამ პენალტი გამოიყენა, რასაც ბრაულიოს გოლი მოჰყვა.

აეკ-ს მიჰყვა მეორე ბერძნული გუნდი „პანათინაიკოსიც", რომელიც „რეინჯერსთან" მეთორმეტე წუთიდან იგებდა, მაგრამ ბოლოს გატყდა. იოანის გუმასმა მკერდიდან დაშვებული ბურთი ხარიხის ქვეშ შეჭედა და ამის მერე, ასპროცენტიანი მომენტი მასპინძელმა მარსელო მატოსმა ვერ გამოიყენა. რეინჯერსელმა ნაჩო ნოვომ კი თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა — მეკარე მოძრაობაზე დაიჭირა და „ჩაფრები" მერვედფინალში გაიყვანა.

ლისაბონის „სპორტინგმა" „ბაზელს" პირველი მატჩი სიმონ ვუკჩევიჩის დუბლით მოუგო, რომელმაც ტრავმის გამო საპასუხოში ვერ ითამაშა. ვუკჩევიჩობა ამჯერად ლიდსონმა იკისრა და შვეიცარიელებს წყვილი გოლი გაუტანა მას შემდეგ, რაც „სპორტინგი" პერეირინამ დააწინაურა.

„ევერტონს" „ბრანის" დამარცხება არ გასჭირვებია, რადგან კლასში სხვაობა დიდი იყო. იაკუბუ აიეგბენიმ ჰეთ თრიქი შეასრულა, ენდრიუ ჯონსონმა ორი შეაგდო და ერთიც არტეტამ მიითვალა. „ევერტონმა" უეფას თასზე ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო.

**ვაჟა ხუციშვილი**


„აბერდინის" გვემა ლუსიოს ამ გოლით დაიწყო

## ლიბერტადორესის თასი 2008

**I ჯგუფი. II ტური**
**სან ლორენსო** (არგენტინა) 0:0 **კრუზეირო** (ბრაზილია)

**II ჯგუფი. II ტური**
**დეპორტივო კუენსა** (ეკვადორი) 0:0 **დანუბიო** (ურუგვაი)

**III ჯგუფი. I ტური**
**ატლასი** (მექსიკა) 3:0 **კოლო კოლო** (ჩილე)
1:0 მარიონი (7), 2:0 კოლოტო (41), 3:0 ალონსო (67)

# გაზას გზა





**კოკაინით** გაგიჟებულმა ლეგენდარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა პოლ გესქოინმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაყვანამდე ერთ-ერთი სასტუმროს პერსონალს თმა ყალყზე დაუყენა. და იცით, ვინ იყვნენ გაზას კომპანიონები ორთვიანი ლოთობისა და ნარკოტიკებით ჭყიპვის საქმეში? ორი ბატარეებზე მომუშავე სათამაშო თუთიყუში!

სასტუმროს მავანი თანამშრომლის თქმით, 40 წლის გესქოინი ერთ-ერთ მათგანს ისე ელაპარაკებოდა, ცოცხალი გეგონებოდათ. კიდევ, შერყეული ვარსკვლავი ორივე თუთიყუშით ხელში სასტუმროს გარშემო დარბოდა და მათი ხმით შემხვედრთ „ფაქ ოფს“ უძახდა.

ჟურნალისტებისთვის აგრეთვე ცნობილი გახდა, რომ სასტუმროს პერსონალმა ინგლისის ნაკრების ყოფილ ლიდერს ქალი თანამშრომლები მოარიდა — ქალის მიერ კარის გაღებისთანავე რაღაც საშინელებებს სჩადიოდა, რამდენჯერმე კი, რესტორანს ოთახში ასატანად უმი ღვიძლი შეუკვეთა.

დადასტურდა: გესქოინი ამ ღვიძლს ჭამდა და ამტკიცებდა, რომ ასეთი კვება მისი ჯანმრთელობისთვის, უპირველეს ყოვლისა კი სისხლისთვის, სასარგებლო იყო.

როგორც გაირკვა, გაზას მდგომარეობა ასე ძალიან ოთხშაბათის შემდეგ გაუარესდა.

რა მოხდა ოთხშაბათს? მის მშობლიურ ქალაქ გეითსჰედში მდებარე სასტუმრო **Malmaison**-ში, სადაც ნომერი 240 გირვანქა ღირს, ყოფილმა ფეხბურთელმა სახანძრო განგაში გამოიწვია, რისთვისაც დაიჭირეს. საქმე ის ყოფილა, რომ გაზას გვერდით მდებარე „ჰილტონში“ ნდომებია ოთახის დაქირავება, მაგრამ უარი უთქვამთ და შემდეგ ხალხის შეწუხებისთვის პოლიციელებსაც უხმეს.

ასე და ამგვარად, პოლ გესქოინი ფსიქიატრიულში მოხვდა, სადაც პირველ ღამეს გამუდმებით უთვალთვალებდნენ, თავი რომ არ მოეკლა. თუ ეს ვინმეს რამეს ეუბნება, საავადმყოფო დარლინგტონთან მდებარეობს და **Middleton St George Hospital** ჰქვია.

როგორც თანმდევი პოლიციელისგან გახდა ცნობილი, ვარსკვლავი მთელი გზა იგინებოდა, ბოდავდა და სპეცმანქანას შიგნიდან უბრახუნებდა. აშკარა იყო, რომ დიდი რაოდენობის წამალი ჰქონდა მიღებული. ერთ ეპიზოდში ვილაცებისთვის ხელის ჩამორთმევასაც ცდილობდა, თუმცა ასეთ რალაცებს თავის უკან გადაგდება და თვალების გადაკარკვლა მოსდევდა.

შუა დავიდარაბაში, გესქოინისთვის ვილაცას უთქვამს, ამ ყველაფრისთვის ფული გექნება გადასახდელიო, რაზეც გაზას განუცხადებია, უკვე წლებია პენი რომ პენია, ისიც კი არაფერში გადამიხდიაო. ხოლო ერთ ეპიზოდში, ოდნავ რომ დამშვიდდა, გესქოინმა ბრძანა, რა კარგია ნიუკასლიდან რომ მიგყავართ, იქ ისეთი ხალხის გარემოცვაში ვარ, თავს პირდაპირ ყულფში რომ მაყოფინებენო.

**პაპუნა ბედია**

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | არსენალი |
| ფულემი | : | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | : | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | : | მანჩესტერი |
| პორტსმუთი | : | სანდერლენდი |
| უიგანი | : | დერბი |
| **ხვალ** | | |
| რედინგი | : | ასტონ ვილა |
| ბლექბერნი | : | ბოლტონი |
| **ზეგ** | | |
| სიტი | : | ევერტონი |
| **გადაიდო** | | |
| ტოტენჰემი | : | ჩელსი |

## ინგლისი

# კევინ კიგანი აფრიკით შეუტევს

**ზედიზედ** ხუთი მატჩის მომგები „არსენალი“ ბირმინგემს ეწვევა და რაკი ეს თამაში სხვებზე ადრე იწყება, „მეთოფეებს“ „მანჩესტერთან“ სხვაობის რვა ქულამდე გაზრდა დროებით მაინც შეუძლიათ. „მილანთან“ მატჩში დაშავებული კოლო ტურე დღეს ვერ ითამაშებს და მის ნაცვლად დაცვის ცენტრში ფილიპ სენდეროსი იქნება.

დისკვალიფიცირებულ ემანუელ ებუეს ალბათ თეო უოლკოტი შეცვლის. რობინ ვან პერსი, ტომაშ როსიცკი, აბუ დიაბი და იოჰან ჯურუ ტრავმირებულნი არიან. ემანუელ ადებაიორს და ალექსანდრ გლებს მსუბუქი ტრავმები აწუხებთ.

„ბირმინგემს“ წლეულს მატჩი არ მოუგია, თუმც პირველ წრეში „არსენალთან“ სტუმრად ფრე (1:1) გაახერხა და „მეთოფეებს“ დღესაც არ ელით იოლი გასეირნება.

„ინტერის“ ძლევით გალაღებული „ლივერპული“ „მიდლსბროს“ დაუხვდება, რომელიც უკვე ხუთი ტურია, არ დამარცხებულა. რაფაელ ბენიტესის გუნდი თუ მოიგებს, თანაქალაქელ „ევერტონს“ გადაასწრებს, რაკი ევერტონელები ორშაბათს თამაშობენ. „ბოროს“ მწვრთნელ გარეთ საუთგეიტს ტრავმამოშუშებული რობერტ ჰუთის და თუნჯაი შანლის იმედი აქვს.

ცხრა მატჩია, „ნიუკასლს“ არ მოუგია და მწვრთნელად კევინ კიგანის დანიშვნამაც ვერ უშველა. „კაჭკაჭების“ თავკაცი იმედოვნებს, რომ აფრიკის თასიდან დაბრუნებული ჰაბიბ ბეიე, აბდულაე ფაიე, ჯერემი ნჯიტაპი და ობაფემი მარტინსი გაჭირვების ჟამს გუნდს წაადგებიან. „მანჩესტერმა“ „ნიუკასლი“ 2003 წლის შემდეგ სტუმრად ხუთიდან ოთხ მატჩში დაამარცხა.

ლონდონურ დერბიში „ფულემი“ „ვესტ ჰემს“ დაუხვდება და სეზონში მეოთხე საშინაო თამაშის მოგებას შეეცდება. ეს იოლი არ იქნება, რადგან „ჩაქუჩებს“ „ფულემთან“ სტუმრად ზედიზედ ოთხი მატჩია, არ წაუგია.

პრემიერლიგაში დასარჩენად მოჯაჯგურე „უიგანი“ და „დერბი“ ერთმანეთს შეხვდებიან. ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ მომგები „დერბის“ ტრავმამოშუშებული კაპიტანი რობი სევიჯი დაეხმარება, მაგრამ კლოდ დევისი, ტაირონ პირსი და დარენ მური დაშავებულნი არიან. მასპინძლებს კი მეგოლე ემილ ჰესკი გამოუკეთდათ, რომელსაც ორი კვირა გაუცდა.

როი კინის „სანდერლენდმა“ შინ ზედიზედ სამ შეხვედრაში იმარჯვა და მეთოთხმეტე ადგილზე აინაცვლა, მაგრამ სტუმრად თამაში კვლავაც არ გამოსდის. „შავი კატები“ პორტსმუთს ლაიამ მილერის, კირან რიჩარდსონის, დენი ჰიგინბოთემის, კარლოს ედვარდსისა და როს უოლესის გარეშე ესტუმრებიან. „პორტსმუთი“ კი შინ მაინცდამაინც ვერ ბრწყინავს, რაკი თორმეტი მატჩიდან მხოლოდ სამი მოიგო.

„რედინგმა“ მიჯრით ექვსი შეხვედრა წააგო და ქვედა ლიგისკენ მიექანება. ასეთი გუნდი დაუხვდება „ასტონ ვილას“, რომელიც ამჟამად კარგ ფორმაშია. ბირმინგემელებს გაბრიელ აგბონლაჰორი გამოუკეთდათ და ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:2 | 1:0 | | | | 1:0 | 3:1 | 2:0 | 2:0 | 2:1 | | 3:0 | 3:2 | 2:0 | 2:0 | 1:1 | | 2:1 | 5:0 | 26 | 19 | 6 | 1 | 54:18 | 63 | 12 | 2 | 0 | 31:8 | 38 | 7 | 4 | 1 | 23:10 | 25 |
| 2 | მანჩესტერი | | | 2:0 | 2:1 | | | 1:2 | 2:0 | 2:0 | | 1:0 | 4:1 | 6:0 | 1:0 | | 4:0 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 4:1 | 26 | 18 | 4 | 4 | 50:14 | 58 | 12 | 1 | 1 | 32:5 | 37 | 6 | 3 | 3 | 18:9 | 21 |
| 3 | ჩელსი | | | | 1:1 | 0:0 | 4:4 | 6:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | | 2:1 | 2:0 | | | 3:2 | 1:0 | 0:0 | | 26 | 16 | 7 | 3 | 38:17 | 55 | 8 | 5 | 0 | 23:8 | 29 | 8 | 2 | 3 | 15:9 | 26 |
| 4 | ევერტონი | 1:4 | 0:1 | | | 1:2 | | 1:0 | | 1:1 | | 0:0 | 2:0 | | 7:1 | 2:0 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 3:0 | | 26 | 14 | 5 | 7 | 41:23 | 47 | 8 | 2 | 3 | 24:11 | 26 | 6 | 3 | 4 | 17:12 | 21 |
| 5 | ლივერპული | 1:1 | 0:1 | 1:1 | | | 2:2 | | 4:1 | | | 2:2 | | | 3:0 | 4:0 | 1:1 | 0:0 | | 2:0 | 6:0 | 25 | 11 | 11 | 3 | 40:17 | 44 | 5 | 6 | 1 | 26:9 | 21 | 6 | 5 | 2 | 14:8 | 23 |
| 6 | ასტონ ვილა | 1:2 | 1:4 | 2:0 | 2:0 | 1:2 | | 1:1 | 1:3 | 1:1 | 1:0 | 2:1 | | 4:1 | | | | | 3:1 | 2:1 | 2:0 | 26 | 12 | 8 | 6 | 48:34 | 44 | 8 | 2 | 4 | 24:17 | 26 | 4 | 6 | 2 | 24:17 | 18 |
| 7 | სიტი | 1:3 | 1:0 | | | 0:0 | 1:0 | | | 2:2 | 1:1 | | 3:1 | 3:1 | 1:0 | 4:2 | | 1:0 | 2:1 | | 1:0 | 26 | 12 | 8 | 6 | 34:29 | 44 | 9 | 3 | 1 | 21:11 | 30 | 3 | 5 | 5 | 13:18 | 14 |
| 8 | პორტსმუთი | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | | 0:0 | | | 0:0 | 0:1 | 0:1 | | | 3:1 | | | 7:4 | | 3:1 | 26 | 11 | 8 | 7 | 36:26 | 41 | 3 | 7 | 2 | 15:10 | 16 | 8 | 1 | 5 | 21:16 | 25 |
| 9 | ბლექბერნი | 1:1 | | 0:1 | 0:0 | 0:0 | 0:4 | 1:0 | 0:1 | | 0:1 | | 1:1 | 3:1 | 1:0 | | | 2:1 | 4:2 | | | 26 | 10 | 9 | 7 | 32:33 | 39 | 5 | 4 | 4 | 13:13 | 19 | 5 | 5 | 3 | 19:20 | 20 |
| 10 | ვესტ ჰემი | 0:1 | 2:1 | | 0:2 | 1:0 | | 0:2 | | | | 1:1 | 3:0 | | 3:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 2:1 | | 25 | 10 | 7 | 8 | 30:23 | 37 | 5 | 5 | 3 | 16:13 | 20 | 5 | 2 | 5 | 14:10 | 17 |
| 11 | ტოტენჰემი | 1:3 | 1:1 | | 1:3 | | 4:4 | 2:1 | | 1:2 | | | | | 2:0 | | 4:0 | 2:3 | 6:4 | 5:1 | 4:0 | 26 | 8 | 8 | 10 | 48:41 | 32 | 6 | 2 | 4 | 33:22 | 20 | 2 | 6 | 6 | 15:19 | 12 |
| 12 | მიდლსბრო | 2:1 | | 0:2 | 0:2 | 1:1 | 0:3 | | | 1:2 | 1:2 | 1:1 | | 2:2 | 2:2 | | 1:0 | 2:0 | | 1:0 | | 26 | 7 | 8 | 11 | 23:38 | 29 | 4 | 4 | 5 | 14:18 | 16 | 3 | 4 | 6 | 9:20 | 13 |
| 13 | ნიუკასლი | 1:1 | | | 3:2 | 0:3 | 0:0 | 0:2 | 1:4 | | 3:1 | 3:1 | 1:1 | | | 0:0 | 1:0 | 2:1 | | | 2:2 | 26 | 7 | 7 | 12 | 29:47 | 28 | 5 | 5 | 3 | 17:18 | 20 | 2 | 2 | 9 | 12:29 | 8 |
| 14 | სანდერლენდი | | 0:4 | | | 0:2 | 1:1 | | 2:0 | 1:2 | | 1:0 | | 1:1 | | 3:1 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 26 | 7 | 5 | 14 | 26:45 | 26 | 7 | 3 | 3 | 17:13 | 24 | 0 | 2 | 11 | 9:32 | 2 |
| 15 | ბოლტონი | | 1:0 | 0:1 | 1:2 | | 1:1 | | 0:1 | 1:2 | | 1:1 | 0:0 | 1:3 | | | 4:1 | 3:0 | 3:0 | 0:0 | 1:0 | 26 | 6 | 7 | 13 | 26:35 | 25 | 5 | 4 | 5 | 17:12 | 19 | 1 | 3 | 8 | 9:23 | 6 |
| 16 | უიგანი | | | 0:2 | 1:2 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 0:2 | 5:3 | 1:0 | | 1:0 | 1:0 | 3:0 | | | | | 1:1 | | 26 | 6 | 5 | 15 | 24:42 | 23 | 5 | 2 | 5 | 15:14 | 17 | 1 | 3 | 10 | 9:28 | 6 |
| 17 | ბირმინგემი | | 0:1 | 0:1 | | | 1:2 | | 0:2 | | 0:1 | | 3:0 | | 2:2 | 1:0 | 3:2 | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 26 | 5 | 7 | 14 | 25:38 | 22 | 3 | 4 | 5 | 13:14 | 13 | 2 | 3 | 9 | 12:24 | 9 |
| 18 | რედინგი | 1:3 | 0:2 | 1:2 | 1:0 | 3:1 | | | 0:2 | | 0:3 | | 1:1 | 2:1 | 2:1 | 0:2 | 2:1 | | | | 1:0 | 26 | 6 | 4 | 16 | 30:53 | 22 | 6 | 1 | 6 | 14:19 | 19 | 0 | 3 | 10 | 16:34 | 3 |
| 19 | ფულემი | 0:3 | | 1:2 | | | 2:1 | 3:3 | 0:2 | 2:2 | | 3:3 | 1:2 | 0:1 | | 2:1 | 1:1 | | 3:1 | | 0:0 | 26 | 3 | 10 | 13 | 25:44 | 19 | 3 | 5 | 5 | 18:22 | 14 | 0 | 5 | 8 | 7:22 | 5 |
| 20 | დერბი | | | 0:2 | 0:2 | 1:2 | | 1:1 | 2:2 | 1:2 | 0:5 | 0:3 | 0:1 | 1:0 | | 1:1 | 0:1 | 1:2 | | | | 26 | 1 | 6 | 19 | 13:55 | 9 | 1 | 3 | 9 | 8:24 | 6 | 0 | 3 | 10 | 5:31 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დელ პიერომ დონს ღვინო შესთავაზა



**იტალიაში** გრძელდება ბჭობა, თუ ვინ წავა ევრო 2008-ზე, ალესანდრო დელ პიერო თუ ანტონიო კასანო? ცხადია, მოსაზრებები იყოფა, მაგრამ უმეტესობა თანხმდება, რომ ავსტრია-შვეიცარიაში წასვლის შანსი მხოლოდ ერთ მათგანს თუ აქვს, რადგან ორივეს ერთად რობერტო დონადონი „სკუადრა აძურაში" არ უხმობს. ახლახან ჩატარებულ გამოკითხვაში ქომაგებმა ხმების 62 პროცენტი დელ პიეროს სასარგებლოდ მისცეს. არადა, დონადონის კასანოსთან უკეთესი ურთიერთობა აქვს.

„იუვენტუსის" ვეტერანი კაპიტანი, რომელიც კასანოს დარად ახლა ჩინებულ ფორმაშია, დონადონის კიდევ ერთხელ შეეხმიანა საჯაროდ...

„ძვირფასო რობერტო, გთხოვ, ჩემს შესახებ ფრთხილად და კარგად იფიქრო. შენ ბევრჯერ ნახე, რაც შემძლია და თუ კარგი ღვინო გჭირდება, რათა ფიქრი გაგიადვილდეს, შემიძლია, გამოგიგზავნო" — თქვა „პინტურიკიომ" SKY ITALIA-სთან საუბარში. დელ პიეროს აზრი ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე იტალიურ კლუბებზეც ჰკითხეს: „ვფიქრობ, სამიდან ერთი გუნდი მეოთხედფინალში ვერ გავა. ყველა მათგანს ურთულესი მატჩები ელის, რომლებშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. „ენფილდზე" 0:2 მარცხის მიუხედავად, „ინტერსაც" თავისუფლად შეუძლია სასურველი შედეგით მოგება. მთავარია, მნიშვნელოვან შეხვედრას სათანადო განწყობით შეხვდე და ცოტა გამართლებაცაა საჭირო".

ბოლოს კი 33 წლის თავდამსხმელს სთხოვეს, თანამედროვე ფეხბურთში თავისი რჩეული მოთამაშეები დაესახელებინა.

„ახლა ფეხბურთელები და განსაკუთრებით თავდამსხმელები ცოტა განსხვავებულები არიან, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ისინი ძალიან სწრაფები, ფიზიკურად და ტექნიკურადაც ძლიერები არიან. მშვენიერია ვერდერელი დიეგო, ასევე ჰამბურგელი რაფაელ ვან დერ ვაარტი, რომელსაც სხვა ჩემპიონატში სიამოვნებით ვიხილავდი. გუნდში მეყოლებოდა ქარიმ ბენზემა, რომელიც ძალიან მწვავე და ნიჭიერი ფორვარდია. საოცრად სწრაფია და ძლიერია ფერნანდო ტორესიც. თუმცა ამ მომენტში მას ემანუელ ადებაიორს ვამჯობინებდი, ტოგოელი ბრწყინვალე სეზონს ატარებს" — დასძინა დელ პიერომ.

**გიორგი ძაძამიძე**

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეჯინა | : | იუვენტუსი |
| ტორინო | : | პარმა |
| **ხვალ** | | |
| ემპოლი | : | კატანია |
| რომა | : | ფიორენტინა |
| უდინეზე | : | ჯენოა |
| სამპდორია | : | ინტერი |
| კალიარი | : | ლაციო |
| ლივორნო | : | ნაპოლი |
| მილანი | : | პალერმო |
| ატალანტა | : | სიენა |

# იტალია
## ვისი ტაქტიკა აჯობებეს?

**„რომამ"** და „ფიორენტინამ" რთული პერიოდი თითქოს უკან მოიტოვეს, რისი დამტკიცებაც „სტადიო ოლიმპიკოზე" მოუწევთ. ეს შეხვედრა ორივე კლუბისთვის და ასევე ოთხეულში ან მის სიახლოვეს მყოფი გუნდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მატჩი სერია A-ს ორი ყველაზე გამორჩეული ტაქტიკოსის, ლუჩანო სპალეტისა და ჩეზარე პრანდელის პირადი დუელის გამოც ძალიან საინტერესოა. პირველ წრეში „იებმა" და „გლადიატორებმა" ქულა გაიყვეს — 2:2.

„ჯალოროსის" ჩინებულ ფორმაში მყოფი ამანტინო მანსინის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა — ბრაზილიელი, რომელმაც შუა კვირაში რომაელებს „რეალთან" მოაგებინა, დისკვალიფიცირებულია. მასპინძლებს ყველა დანარჩენი მწყობრში ჰყავთ, დაშავებულ მეორე მეკარე ჯანლუკა კურჩის თუ არ ჩავთვლით.

რაც შეეხება ფლორენციელებს, ისინი მასიმო გობის, ალესანდრო პოტენცასა და კრისტიან ვიერის მოისაკლისებენ.

„ლივერპულთან" წაგებით გულგატეხილ „ინტერს" ივან კორდობა, ვალტერ სამუელი, ოლივიე დაკური, აპარესიდო სეზარი და ლუის ხიმენესი ჰყავს დაშავებული. გარდა ამისა, ბოლომდე მზად არ არის პატრიკ ვიეირა. რობერტო მანჩინი სავარაუდოდ ისევ ახალგაზრდებით და სათადარიგო ფეხბურთელებით გადახალისებულ თერთმეტეულს დააყენებს, მაგრამ წინა ტურთან შედარებით, „ნერაძურის" ბევრად უფრო სერიოზული მეტოქე ჰყავს. გენუაში „სამპდორიასთან" თამაში ადვილი როდია. მით უმეტეს, რომ „სამპდორია" წინა ტურში გენუური დერბის მოგების მერე ამაღლებულ განწყობაზეა, თან ჩინებულ ფორმაშია და ყველანაირად ეცდება, „ინტერს" მიმდინარე სერია A-ში პირველი წაგება აგემოს.

მასპინძლებს სერჯო ვოლპი, ვინჩენცო მონტელა და პაოლო სამარკო არ ეყოლებათ.

2008 წლის ცუდად დაწყების მერე, „იუვენტუსი" ნელ-ნელა ფორმაში შევიდა და წინა ტურში „რომას" მშვენიერ სტილში მოუგო, რითაც დედაქალაქელებთან სხვაობა ოდენ ერთ ქულამდე შეამცირა. ასე რომ, ტურინელები მეორე ადგილისთვის ბრძოლას დაუბრუნდნენ და ახლა აუტსაიდერ „რეჯინას" აუცილებლად უნდა მოუგონ.

„ბებერ ქალბატონს" ანტონიო ნოჩერინო, ჟორჟე ანდრადე და მარკო მარკიონი არ ეყოლება. ვინჩენცო იაკვინტა ვარჯიშისას დაშავდა და დიდი შანსია, ეს შეხვედრა გამოტოვოს. ხოლო ჯანლუიჯი ბუფონს დაასვენებენ, რადგან მას მხრის ტრავმა ჯერ ბოლომდე არ მოუშუშებია და ექიმებს გარისკვა არ უნდათ. მით უმეტეს, რომ შემდეგ „ტორინოსთან" და „ფიორენტინასთან" პრინციპული მატჩები მოდის.

„არავის ეგონოს, რომ „რეჯინასთან" იოლი მატჩი გვექნება. დიდი იმედი მაქვს, თამაშს შევძლებ. ბოლომდე მწყობრში ჯერ არ ვარ, მაგრამ თითქმის მოვმჯობინდი და ახლა თუ არა, მომავალ ტურში აუცილებლად გავალ მინდორზე. ცხადია, ფლანგზე თამაში მიჯობს, თუმც თუ გუნდს დასჭირდა, ცენტრშიც გადავიწევ" — თქვა მაურო კამორანეზიმ, რომლის თამაშიც იაკვინტას დარად სათუოა.

ბუფონის ნაცვლად კარში ემანუელე ბელარდი ჩადგება, სათადარიგოთა სკამზე კი ახალგაზრდა კრისტიანო ნოვემბრეს ვიხილავთ.

თავის მხრივ, რეჯოკალაბრიელებს, მიჯრით ოთხი წაგების მერე, ქულები ჰაერივით სჭირდებათ. თუ მათ ეს მატჩიც წააგეს, ვეტერანი რენცო ულივიერი, შესაძლოა, პოსტიდან დაითხოვონ. მასპინძელთა რიგებში ემილ ჰალფრედსონის თამაში სათუოა, ანხელო გარსია და ინასიო ჟოელსონი კი ნამდვილად ვერ გავლენ მინდორზე.

„მილანი" ოთხეულისთვის ბრძოლას განაგრძობს და თუ ქულებს კიდევ დაკარგავს, მასში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება. ამიტომ, რონალდოსა და ნელსონ დიდას გარეშე მყოფმა „როსონერიმ" შინ „პალერმო" უნდა დაამარცხოს.

არადა, იდეალური სეზონი არც სიცილიელებს აქვთ და ქულები მათაც სჭირდებათ, რადგან მწვრთნელი და ფეხბურთელები პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინისგან ყოველდღე მუქარებსა და ლანძღვას ისმენენ.

სხვათა შორის, „პალერმომ" სერია A-ში ბოლო სამი შეხვედრიდან „მილანს" ორი მოუგო და ერთხელ ფრედ ეთამაშა. სიცილიელები ამ წარმატებული სერიის გაგრძელებისთვის არაფერს დაიშურებენ, თუმცა აქ ხელისშემშლელი ფაქტორიცაა — შესაძლოა, ხვალ „სან სიროზე" ერთ-ერთი ლიდერის, ფაბრიციო მიკოლის გარეშე მოუხდეთ ბრძოლა.

„ყველამ ვიცით, თუ რა ძლიერი გუნდია „მილანი", მაგრამ „სან სიროზე" ფეხბურთის სათამაშოდ და მოსაგებად მივდივართ. რაც შეეხება ჩემს სანაკრებო მომავალს, ახლა ევრო 2008-ზე ნამდვილად არ ვფიქრობ, მხოლოდ „პალერმოზე" ვარ კონცენტრირებული. მით უმეტეს, რომ იტალიის მოქალაქეობის მიღების პროცესი გამიჭიანურდა. მწყინს, რომ ბრაზილიის ნაკრებში არ მიძახებენ, დანარჩენი მომავალში გამოჩნდება" — აღნიშნა სიცილიელთა ფორვარდმა ამაურიმ.

„უდინეზეს" საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული, მაგრამ, რაც მთავარია, ჯანზე არიან ანტონიო დი ნატალე, მისი სეხნია ფლორო ფლორესი და ფაბიო კვალიარელა. ასე რომ, უდინელებმა პატარა პაუზის მერე საკუთარ კედლებში გამარჯვებით ქომაგები ისევ უნდა გაახარონ, თორემ თუ ქულების კარგვა განაგრძეს, ოთხეულს აქვეე დაემშვიდობებიან და ვინ იცის, იქნებ, უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაც გაუჭირდეთ.

„ჯენოა" ისტორიით იწონებს თავს. გენუელებმა „უდინეზეს" ბოლო სამი შეხვედრა მოუგეს, მაგრამ გასვლებზე თამაში ძალიან უჭირთ და, ცხადია, არც „ფრიულიზე" ექნებათ ადვილი გასეირნება.

| 15296 | სტანდარდი-გენტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | ვარეგემი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15299 | სერკლი-რუზელარე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | ალკმაარი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | ექსელსიორი-ტილბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | ჰერაკლესი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | ვიტესი-როდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | ჰერენვენი-ნაიმეგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15318 | ბრედა-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15321 | ვენლო-გრონინგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15332 | ბენფიკა-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15334 | ამადორა-ლეირია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15339 | ნასიონალი-ლეიშოეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15340 | სეტუბალი-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | აკადემიკა-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15342 | ბელენენსეში-მარიტიმუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | სივასსპორი-რიზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15362 | გაზიანთეფი-ოფთასპორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15365 | ანკარა-კაისერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15366 | გენჩლერბირლიგი-კონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15367 | ისტანბული-ანკარაგიუჯიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15368 | ტრაბზონი-მანისა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16030 | რედინგი-ასტონ ვილა | 2.05 | 1.65 |
| 16033 | უიგანი-დერბი | 1.17 | 4.10 |
| 16034 | ბირმინგემი-არსენალი | 4.20 | 1.15 |
| 16036 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.25 | 3.40 |
| 16037 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.95 |
| 16038 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.10 | 5.50 |
| 16039 | სიტი-ევერტონი | 1.65 | 2.05 |
| 16040 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 4.20 | 1.15 |
| 16042 | პორტსმუთი-სანდერლენდი | 1.17 | 4.10 |
| 16045 | უენსდი-კარდიფი | 1.80 | 1.85 |
| 16046 | სტოკი-იფსვიჩი | 1.30 | 3.00 |
| 16047 | უოტფორდი-პრესტონი | 1.17 | 4.10 |
| 16048 | ბლეკპული-ჩარლტონი | 1.80 | 1.85 |
| 16049 | ვესტ ბრომვიჩი-ჰალი | 1.17 | 4.10 |
| 16050 | კოლჩესტერი-ბრისტოლი | 1.82 | 1.82 |
| 16051 | ქოვენტრი-ლესტერი | 1.58 | 2.10 |
| 16052 | კრისტალ პალასი-ვულვერჰემპტონი | 1.40 | 2.55 |
| 16053 | ნორვიჩი-ბარნსლი | 1.30 | 3.00 |
| 16054 | პლიმუთი-ბარნლი | 1.50 | 2.30 |
| 16055 | ქპრ-შეფილდი | 1.40 | 2.55 |
| 16056 | სკანთორპი-საუთჰემპტონი | 1.62 | 2.05 |
| 16130 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.32 | 3.00 |
| 16131 | ჰიბერნიანი-ინვერნესი | 1.25 | 3.40 |
| 16132 | კილმარნოკი-აბერდინი | 1.80 | 1.85 |
| 16133 | მაზერუელი-ჰართსი | 1.34 | 2.80 |
| 16153 | აინტრახტი-ვერდერი | 2.40 | 1.45 |
| 16155 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.22 | 3.40 |
| 16156 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 1.34 | 2.80 |
| 16158 | ნიურნბერგი-კოტბუსი | 1.23 | 3.60 |
| 16159 | შტუტგარტი-კარლსრუე | 1.23 | 3.60 |
| 16160 | დორტმუნდი-ჰანზა | 1.17 | 4.10 |
| 16161 | არმინია-დუისბურგი | 1.34 | 2.80 |
| 16162 | ლევერკუზენი-შალკე | 1.62 | 2.05 |
| 16165 | ზტ.პაული-ფიურტი | 1.80 | 1.85 |
| 16167 | აუე-პადერბორნი | 1.38 | 2.65 |
| 16168 | კაიზერსლაუტერნი-კობლენცი | 1.25 | 3.40 |
| 16170 | აუგსბურგი-ოფენბახი | 1.25 | 3.40 |
| 16171 | ალემანია-ვენი | 1.25 | 3.40 |
| 16172 | ოსნაბრიუკი-მიონხენგლადბახი | 2.20 | 1.50 |
| 16182 | რიდი-აუსტრია კერნტენი | 1.32 | 3.00 |
| 16185 | მატერსბურგი-ტიროლი | 1.23 | 3.60 |
| 16186 | აუსტრია-ზალცბურგი | 2.05 | 1.65 |
| 16187 | ალტახი-რაპიდი | 2.30 | 1.50 |
| 16197 | სამპდორია-ინტერი | 2.40 | 1.45 |
| 16199 | რეჯინა-იუვენტუსი | 3.60 | 1.23 |
| 16201 | კალიარი-ლაციო | 2.10 | 1.60 |
| 16203 | ლივორნო-ნაპოლი | 1.55 | 2.20 |
| 16204 | მილანი-პალერმო | 1.14 | 4.70 |
| 16206 | ტორინო-პარმა | 1.40 | 2.55 |
| 16207 | ატალანტა-სიენა | 1.30 | 3.00 |
| 16208 | ემპოლი-კატანია | 1.38 | 2.65 |
| 16209 | რომა-ფიორენტინა | 1.25 | 3.40 |
| 16211 | უდინეზე-ჯენოა | 1.24 | 3.60 |
| 16212 | მოდენა-რიმინი | 1.62 | 2.05 |
| 16213 | ფროზინონე-სპეცია | 1.24 | 3.60 |
| 16214 | ასკოლი-ვიჩენცა | 1.34 | 2.80 |
| 16215 | ჩეზენა-ალბინოლეფე | 1.82 | 1.82 |
| 16216 | მანტოვა-ბარი | 1.24 | 3.60 |
| 16218 | აველინო-კიევო | 2.40 | 1.45 |
| 16219 | ტრევიზო-მესინა | 1.52 | 2.20 |
| 16220 | ლეჩე-პიაჩენცა | 1.12 | 4.60 |
| 16221 | ტრიესტინა-პიზა | 1.80 | 1.80 |
| 16222 | გროსეტო-რავენა | 1.23 | 3.60 |
| 16241 | სევილია-სარაგოსა | 1.23 | 3.60 |
| 16244 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.62 | 2.05 |
| 16246 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.75 | 1.85 |
| 16248 | რასინგი-ალმერია | 1.38 | 2.65 |
| 16249 | მურსია-ვალიადოლიდი | 1.62 | 2.05 |
| 16250 | მალიორკა-ბეტისი | 1.34 | 2.80 |
| 16253 | ვალენსია-უელვა | 1.22 | 3.40 |
| 16254 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.75 | 1.85 |
| 16255 | ნუმანსია-ჰერკულესი | 1.30 | 3.00 |
| 16256 | სალამანკა-ტენერიფე | 1.55 | 2.20 |
| 16257 | ალავესი-გრანადა | 1.40 | 2.55 |
| 16258 | კორდობა-კადისი | 1.65 | 2.05 |
| 16259 | კასტელონი-სევილია ბ | 1.40 | 2.55 |
| 16260 | ეიბარი-მალაგა | 1.95 | 1.65 |
| 16261 | ესიდო-ტარაგონა | 1.80 | 1.85 |
| 16262 | ლას პალმასი-სელტა | 1.80 | 1.80 |
| 16263 | ელჩე-სოსიედადი | 1.65 | 2.05 |
| 16264 | სერესი-ფეროლი | 1.45 | 2.45 |
| 16265 | ალბასეტე-სპორტინგი | 1.80 | 1.80 |
| 16266 | ნიცა-ოსერი | 1.32 | 3.00 |
| 16267 | ვალენსიენი-ლე მანი | 1.40 | 2.55 |
| 16268 | ნანსი-ლანსი | 1.52 | 2.20 |
| 16270 | ბორდო-ლილი | 1.24 | 3.60 |
| 16272 | რენი-ლორიანი | 1.40 | 2.55 |
| 16273 | ტულუზი-მარსელი | 1.80 | 1.80 |
| 16276 | პსჟ-მონაკო | 1.32 | 3.00 |
| 16277 | კაენი-სტ.ეტიენი | 1.55 | 2.20 |
| 16278 | სტრასბური-სოშო | 1.50 | 2.30 |
| 16286 | სედანი-ნანტი | 1.80 | 1.85 |
| 16289 | შარლერუა-ბეერსხოტი | 1.80 | 1.85 |
| 16290 | დენდერი-ვესტერლო | 1.80 | 1.85 |
| 16291 | ბრიუსელი-მონსი | 1.80 | 1.85 |
| 16293 | ლოკერენი-ბრიუგე | 2.45 | 1.40 |
| 16295 | მუსკრონი-მეხელენი | 1.45 | 2.45 |
| 16296 | სტანდარდი-გენტი | 1.23 | 3.60 |
| 16298 | ვარეგემი-ანდერლეხტი | 2.30 | 1.48 |
| 16299 | სერკლი-რუზელარე | 1.11 | 5.70 |
| 16311 | ალკმაარი-ტვენტე | 1.55 | 2.20 |
| 16312 | ექსელსიორი-ტილბურგი | 1.70 | 1.95 |
| 16313 | ჰერაკლესი-ფეიენოორდი | 3.00 | 1.30 |
| 16315 | ვიტესი-როდა | 1.55 | 2.20 |
| 16316 | ჰერენვენი-ნაიმეგენი | 1.11 | 5.70 |
| 16318 | ბრედა-აიაქსი | 2.20 | 1.50 |
| 16321 | ვენლო-გრონინგენი | 2.30 | 1.45 |
| 16332 | ბენფიკა-ბრაგა | 1.11 | 5.70 |
| 16334 | ამადორა-ლეირია | 1.32 | 3.00 |
| 16339 | ნასიონალი-ლეიშოეში | 1.32 | 3.00 |
| 16340 | სეტუბალი-სპორტინგი | 2.30 | 1.45 |
| 16341 | აკადემიკა-ბოავიშტა | 1.62 | 2.05 |
| 16342 | ბელენენსეში-მარიტიმუ | 1.34 | 2.80 |
| 16361 | სივასსპორი-რიზე | 1.12 | 4.60 |
| 16362 | გაზიანთეფი-ოფთასპორი | 1.40 | 2.55 |
| 16365 | ანკარა-კაისერი | 1.70 | 1.95 |
| 16366 | გენჩლერბირლიგი-კონია | 1.45 | 2.45 |
| 16367 | ისტანბული-ანკარაგიუჯიუ | 1.52 | 2.20 |
| 16368 | ტრაბზონი-მანისა | 1.14 | 4.70 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17030 | რედინგი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17033 | უიგანი-დერბი | 1.85 | 1.95 |
| 17034 | ბირმინგემი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17036 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17038 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17039 | სიტი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | პორტსმუთი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17045 | უენსდი-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17046 | სტოკი-იფსვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17047 | უოტფორდი-პრესტონი | 1.85 | 1.95 |
| 17048 | ბლეკპული-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17049 | ვესტ ბრომვიჩი-ჰალი | 1.85 | 1.95 |
| 17050 | კოლჩესტერი-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 17051 | ქოვენტრი-ლესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | კრისტალ პალასი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | ნორვიჩი-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | პლიმუთი-ბარნლი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ქპრ-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | სკანთორპი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17130 | დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17131 | ჰიბერნიანი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17132 | კილმარნოკი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17133 | მაზერუელი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | რეინჯერსი-გრეტნა | 1.85 | 1.95 |
| 17136 | სტ.მირენი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | აინტრახტი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17158 | ნიურნბერგი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17159 | შტუტგარტი-კარლსრუე | 1.85 | 1.95 |
| 17160 | დორტმუნდი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17161 | არმინია-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | ლევერკუზენი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ზტ.პაული-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | აუე-პადერბორნი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | კაიზერსლაუტერნი-კობლენცი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | აუგსბურგი-ოფენბახი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ალემანია-ვენი | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ოსნაბრიუკი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17182 | რიდი-აუსტრია კერნტენი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | მატერსბურგი-ტიროლი | 1.85 | 1.95 |
| 17186 | აუსტრია-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17187 | ალტახი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | სამპდორია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17199 | რეჯინა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17201 | კალიარი-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17203 | ლივორნო-ნაპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17204 | მილანი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17206 | ტორინო-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ატალანტა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ემპოლი-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17209 | რომა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17211 | უდინეზე-ჯენოა | 1.85 | 1.95 |
| 17212 | მოდენა-რიმინი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ფროზინონე-სპეცია | 1.85 | 1.95 |
| 17214 | ასკოლი-ვიჩენცა | 1.85 | 1.95 |
| 17215 | ჩეზენა-ალბინოლეფე | 1.85 | 1.95 |
| 17216 | მანტოვა-ბარი | 1.85 | 1.95 |
| 17218 | აველინო-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ტრევიზო-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17220 | ლეჩე-პიაჩენცა | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ტრიესტინა-პიზა | 1.85 | 1.95 |
| 17222 | გროსეტო-რავენა | 1.85 | 1.95 |
| 17241 | სევილია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17242 | ბარსელონა-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17244 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17246 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17248 | რასინგი-ალმერია | 1.85 | 1.95 |
| 17249 | მურსია-ვალიადოლიდი | 1.85 | 1.95 |
| 17250 | მალიორკა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17251 | რეალი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17253 | ვალენსია-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17254 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17255 | ნუმანსია-ჰერკულესი | 1.85 | 1.95 |
| 17256 | სალამანკა-ტენერიფე | 1.85 | 1.95 |
| 17257 | ალავესი-გრანადა | 1.85 | 1.95 |
| 17258 | კორდობა-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17259 | კასტელონი-სევილია ბ | 1.85 | 1.95 |
| 17260 | ეიბარი-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17261 | ესიდო-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17262 | ლას პალმასი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17263 | ელჩე-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17264 | სერესი-ფეროლი | 1.85 | 1.95 |
| 17265 | ალბასეტე-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17266 | ნიცა-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17267 | ვალენსიენი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17268 | ნანსი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17270 | ბორდო-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17272 | რენი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17273 | ტულუზი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17274 | ლიონი-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17276 | პსჟ-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17277 | კაენი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17278 | სტრასბური-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17286 | სედანი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17289 | შარლერუა-ბეერსხოტი | 1.85 | 1.95 |
| 17290 | დენდერი-ვესტერლო | 1.85 | 1.95 |
| 17291 | ბრიუსელი-მონსი | 1.85 | 1.95 |
| 17293 | ლოკერენი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17295 | მუსკრონი-მეხელენი | 1.85 | 1.95 |
| 17296 | სტანდარდი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 17298 | ვარეგემი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17299 | სერკლი-რუზელარე | 1.85 | 1.95 |
| 17311 | ალკმაარი-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17312 | ექსელსიორი-ტილბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | ჰერაკლესი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17315 | ვიტესი-როდა | 1.85 | 1.95 |
| 17316 | ჰერენვენი-ნაიმეგენი | 1.85 | [illegible] |
| 17318 | ბრედა-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17319 | პსვ-გრაასჰოპერსი | 1.85 | 1.95 |
| 17321 | ვენლო-გრონინგენი | 1.85 | 1.95 |
| 17332 | ბენფიკა-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17334 | ამადორა-ლეირია | 1.85 | 1.95 |
| 17335 | პორტუ-ფერეირა | 1.85 | 1.95 |
| 17339 | ნასიონალი-ლეიშოეში | 1.85 | 1.95 |
| 17340 | სეტუბალი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17341 | აკადემიკა-ბოავიშტა | 1.85 | 1.95 |
| 17342 | ბელენენსეში-მარიტიმუ | 1.85 | 1.95 |
| 17359 | ფენერბაჰჩე-ბურსა | 1.85 | 1.95 |
| 17361 | სივასსპორი-რიზე | 1.85 | 1.95 |
| 17362 | გაზიანთეფი-ოფთასპორი | 1.85 | 1.95 |
| 17363 | გალათასარაი-კასიმპაშა | 1.85 | 1.95 |
| 17365 | ანკარა-კაისერი | 1.85 | 1.95 |
| 17366 | გენჩლერბირლიგი-კონია | 1.85 | 1.95 |
| 17367 | ისტანბული-ანკარაგიუჯიუ | 1.85 | 1.95 |
| 17368 | ტრაბზონი-მანისა | 1.85 | 1.95 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცენტრალური ცვლილება

## კვირის ჯახი: სახალხო VS საავიაციო

**თავდაპირველად** რომ შედგა ცხრილი, ხვალინდელი ტურის ცენტრალურ შეხვედრად „ენერჯი-ინვესტისა“ და „მაკაბის“ ორთაბრძოლა შეირჩა, თუმცა მოგვიანებით სუპერლიგის მესვეურებმა ეს გადაწყვეტილება შეცვალეს და კვირის მთავარი მატჩი თსუ — „ავიამშენი“ იქნება. ეს გუნდები ცხრილში 2-3 ადგილებზე არიან და მათი შეხვედრა გაცილებით მეტ ინტერესს რომ იმსახურებს, თქმა არ უნდა. გუშინ კლუბ „თორმეტ მაგიდაში“ საამმატჩო პრესკონფერენცია გაიმართა...

*ნუგზარ ჭეიშვილი,* თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:

— იმედი მაქვს, ჩვენს გუნდში მომხდარი სასიკეთო მოვლენები შედეგს მალე გამოიღებს. ახალ სპონსორ „სახალხო ბანკისგან“ სერიოზული დაპირებები გვაქვს და ყველანაირად დაგვეხმარებიან, თუკი მოვინდომებთ. დიდი მადლობა ამ ბანკის მმართველ გიორგი გოგუაძეს თანადგომისთვის. სპონსორის მოსვლამ გუნდზე უკვე იმოქმედა, ბოლო მატჩში „ენერჯი-ინვესტთან“ ძალიან კარგად ვითამაშეთ. უნდა მოგვეგო, მაგრამ აქეთ ჩვენები მოდუნდნენ, იქით მსაჯებმაც შესცოდეს და...

ახლა გაცილებით მოტივირებულები ვართ და თამაშის ხარისხს თანდათან ვაუმჯობესებთ. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არაა კონკრეტული შედეგის, ვთქვათ ჩემპიონობის, ან ფინალში გასვლის მიღწევა. თსუ იბრძვის პლეი ოფში გასასვლელად და რა იქნება მერე, ეს უკვე სხვა საკითხია და არ გვინდა ახლა მარჩიელობა...

... „ავიამშენი“ ძლიერი გუნდია. ფარქვეშ ცოტას მოისუსტებდა, მაგრამ ამას წინათ ჩვენგან გადასულმა რიჩარდ მათიაშვილმა ეს ხარვეზი ამოავსო და ბოლო შეხვედრებში ავიატორები საკმაოდ წარმატებულად თამაშობენ. ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო მატჩი იქნება.

შემდეგ *დავით ბერიშვილმა* ილაპარაკა, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც თსუ-ში „მაკაბიდან“ გადავიდა:

— თსუ ჩემთვის არაა ახალი გუნდი, აქ ადრეც მითამაშია და ადაპტაციაც არ გამჭირვებია. აქამდე ნუგზარ ჭეიშვილთანაც მიმუშავია და ბიჭებსაც კარგად ვიცნობ. თსუ-ში კარგი პირობებია და ახლა უკვე ვთვლი, რომ გამართულ გუნდში ვთამაშობ.

*ვაჟა მხეიძე,* „ავიამშენის“ მწვრთნელი:

— მათიაშვილი კი შეგვემატა, მაგრამ მინდა, აღვნიშნო, რომ ერთი მოთამაშე არ განსაზღვრავს გუნდის სიძლიერეს. რიჩარდი ძალიან ძლიერი და პერსპექტიული მოთამაშეა და მან „ავიამშენის“ წინა ხაზი ძალიან გააძლიერა. ჩვენ არ გვაქვს სასურველი პირობები, გაყინულ დარბაზში ვვარჯიშობთ და არაერთ სათამაშო კომპონენტში მოვიკოჭლებთ. მიუხედავად ამისა, თსუ-სთან მოგებას ვგეგმავთ და ამის უნარი ნამდვილად შეგვწევს. ტრავმირებული მხოლოდ ერთი გვყავს, მაგრამ იმედია, ვახტანგ მინაშვილი კვირამდე გამოჯანმრთელდება. ნუგზარ ჭეიშვილი სუპერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და ბევრი სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია. ჩვენც მზად ვართ.

*გიორგი ნიკოლაძე,* „ავიამშენის“ უკანახაზელი:

— სატურნირო თვალსაზრისით პრინციპული მატჩია: თუ მოვიგებთ, მეორე ადგილზე მყოფ თსუ-ს გავუთანაბრდებით. ჩვენთვის ამას ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გავიმარჯვოთ“.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 16 | 14 | 3 | 31 |
| თსუ | 16 | 10 | 7 | 27 |
| ავიამშენი | 16 | 9 | 8 | 26 |
| დინამო | 16 | 7 | 10 | 24 |
| ვითა | 16 | 7 | 10 | 24 |
| მაკაბი | 16 | 4 | 13 | 21 |



„დეტროიტიდან“ წამოსვლის შემდეგ ბენ ვოლესი საკუთარ თავს აღარ ჰგავს

# ბიგ-ბენი კავალერიისთვის დარეკს

**ცვლილებათა** დიდმა ზვირთმა გადაუარა ნბა-ს. რამდენიმე დღის წინ არაერთმა დიდრონმა მოთამაშემ შეიცვალა გუნდი — პაუ გასოლი „ლეიკერსში“ აღმოჩნდა, ჯეისონ კიდი „დალასს“ დაუბრუნდა, მაიკ ბიბიმ „ატლანტას“ შეაფარა თავი, „მაიამიმ“ და „ფინიქსმა“ კი ერთმანეთს შაკილ ონილი და შონ მერიონი გაუცვალეს. უფრო წვრილმანი გადასვლა-გადმოსვლები არც ღირს ხსენებად.

გუშინ ნბა-ში დედლაინი იყო, ანუ გუნდის შეცვლის ბოლო ვადა და არაერთი ვაჭრობა გაიჩარხა. 2007 წლის ფინალში 0:4 წაგებული „კლივლენდის“ ახალგაზრდა ლიდერი ლებრონ ჯეიმსი ბუზღუნებდა, გამომშრალი გუნდი ვართ და ამ შემადგენლობით შორს ვერ წავალთო. დედლაინამდე ერთი დღით ადრე მან სახალხოდაც კი მოუწოდა გუნდის გენერალურ მენეჯერ დენი ფერის, რამე შეცვალეო. ლებრონი ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, „რამის შეცვლის“ მოწოდებას 11-კაციანი გაცვლა თუ მოჰყვებოდა. დენი ფერიმ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ვაჭრობაში ჩაითრია ბედით უკმაყოფილო „სიეტლი“ და „ჩიკაგო“ და ზედ დედლაინის წინ ასეთი ტრეიდი გაჩარხა:

*„კლივლენდიდან“ „ჩიკაგოში“ გადავიდნენ: ლარი ჰიუზი, დრიუ გუდენი, სედრიკ საიმონსი, შენონ ბრაუნი*

*„კლივლენდიდან“ „სიეტლში“: ირა ნიუბლი, დონიელ მარშალი*

*„ჩიკაგოდან“ „კლივლენდში“: ბენ ვოლესი, ჯო სმიტი*

*„სიეტლიდან“ „კლივლენდში“: ვალი შჩერბიაკი, დელონტე ვესტი*

*„ჩიკაგოდან“ „სიეტლში“: ადრიან გრიფინი*

ამგვარად: „კლივლენდმა“ ექვსი მოთამაშის სანაცვლოდ მიიღო ოთხი და ოთხივე რიგიანი. მთავარი შენაძენი, რა თქმა უნდა, ბენ ვოლესი გახლავთ, რომელმაც სეზონ-ნახევარი დაჰყო „ჩიკაგოში“ და ამ გუნდისთვის მაინც ვერ იქცა იმ ქვაკუთხედად, რაც „დეტროიტისთვის“ იყო. ნბა-ს ოთხგზის საუკეთესო დამცველმა 2006 წელს „ჩიკაგოსთან“ ოთხწლიანი და 60-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ ვერ გაამართლა. მისი ახალი გუნდი ერთი, ასე თუ ისე, რიგიანი სეზონის შემდეგ, სულ დაიძირა და ბიგ-ბენიც განტევების ვაცად იქცა, რაკილა მისი სტატისტიკური მაჩვენებლები აშკარად შემცირდა. ბევრი ამას ასაკს მიაწერს, ვოლესი ხომ 33 წლისაა და ალბათ ვეღარასდროს იქნება ისეთი გაუვალი დამცველი, როგორიც „დეტროიტში“ იყო, მაგრამ „კლივლენდში“ მაინც ოპტიმიზმით შეხვდნენ. მის გარდა, კარგი შენამატია 32 წლის ჯო სმიტიც, რომელიც ბოლო ხანს „ჩიკაგოს“ ხუთეულში კი დამკვიდრდა, მაგრამ მაინც მოუხდა ახალ გუნდში გადასვლა (საერთოდ, ეს ვეტერანი ბევრს მოგზაურობს და „კლივლენდი“ მისთვის მე-8 გუნდი იქნება). ამგვარად, „კლივლენდს“ უკვე ოთხი კარგი მეფარე ჰყავს — ბენ ვოლესი, ჟიდრუნას ილგაუსკასი, ანდერსონ ვარეჟაო და ჯო სმიტი და მწვრთნელი მაიკ ბრაუნი მათ მძიმე ფორვარდის და ცენტრის პოზიციაზე გადაანაწილებს.

„კავალერიის“ პერიმეტრს გააძლიერებენ „სიეტლიდან“ გადმოსროლილი თეთრი ბიჭები: გამთამაშებელი დელონტე ვესტი და სნაიპერი ვალი შჩერბიაკი. გუნდს მათ სანაცვლოდ მეორე ბომბარდირ ლარი ჰიუზთან გამოთხოვება მოუხდა, მაგრამ რადგან ის „დასაშვებზე ხშირად“ ილებდა ტრავმებს და ხშირად, განსაკუთრებით კი, გადამწყვეტ თამაშებში არ იყო ფორმაში, ბრაუნი და ფერი იოლად შეელივნენ მას. თანაც ჰიუზი წელიწადში დაახლოებით 12 მილიონი ჯდებოდა, „ჩიკაგოში“ კი მისი ეიმედებოდათ და გასაქცევად გამზადებული ბენ გორდონის შემცვლელად ამზადებენ.

გუშინ ამ ხმაურიანი გაცვლის პარალელურად შედგა სხვა ტრეიდებიც: „სან ანტონიომ“ „სიეტლში“ ბრენტ ბერი და ფრანცისკო ელსონი მიავლინა და იქიდან კარგი მეფარე კურტ ტომასი წამოიყვანა, რომელიც ბოლოდროინდელ ვაჭრობებში ფარგამაგრებულ „ფინიქსთან“ და „ლეიკერსთან“ ბრძოლაში გამოადგება და ტიმ დანკანს მხარს გაუმაგრებს.

სათადარიგოთა სკამი გაისოლიდურა „ნიუ ორლეანმა“, რომელმაც „ჰიუსტონში“ გაუშვა ბობი ჯექსონი და კიდევ ვილაცები და იქიდან მაიკ ჯეიმსი და ბონზი ველსი წამოიყვანა.

**კოტე ყორშია**

## ევროლიგა

Euroleague

მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 20-21 თებერვალი

### D ჯგუფი

**ეფესი 76:79 სიენა**

*ძირითადი დრო 69:69*

ეფესი: კუქი (20), ჰატსონი (14)

სიენა: ტორნტონი (18), სატო (12)

**პანათინაიკოსი 67:65 პარტიზანი**

პანათინაიკოსი: სპანულისი (20), ბატისტა (9)

პარტიზანი: კეცმანი (13), პალაციო (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 2 | 2 | 0 | +20 | 4 |
| ეფესი | 2 | 1 | 1 | +7 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 1 | -8 | 3 |
| პარტიზანი | 2 | 0 | 2 | -19 | 2 |

### E ჯგუფი

**ლიეტუვოს რიტასი 89:74 არისი**

რიტასი: ეიდსონი (18), ლუკაუსკისი (18)

არისი: მესი (19), ბოისა (18 წუთი, 5 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი)

**ტაუ 103:84 ფენერბაჰჩე**

ტაუ: ვიდალი (14), პლანინიჩი (14)

ფენერბაჰჩე: შავაში (20), სოლომონი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 2 | 2 | 0 | +22 | 4 |
| რიტასი | 2 | 1 | 1 | +12 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 1 | -11 | 3 |
| არისი | 2 | 0 | 2 | -23 | 2 |

### F ჯგუფი

**ჟალგირისი 101:82 მაკაბი**

ჟალგირისი: მალისაულისი (22), ბრაუნი (19)

მაკაბი: ბატისტა (25), ბინამი (13)

**რეალი 80:70 ოლიმპიაკოსი**

რეალი: ბალოკი (14), სმიტი (13)

ოლიმპიაკოსი: გრირი (15), ვუდსი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | +13 | 4 |
| ჟალგირისი | 2 | 1 | 1 | +16 | 3 |
| მაკაბი | 2 | 1 | 1 | -11 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 2 | -18 | 2 |

### G ჯგუფი

**ცსკა 72:55 ბარსელონა**

ცსკა: ანდერსენი (20), შიშკაუსკასი (16)

ბარსელონა: ლაკოვიჩი (11), გრიმაუ (7)

**რომა 75:67 უნიკახა**

რომა: ლენი უკიჩი (19), ჰოკინსი (11)

უნიკახა: ჰაისლიპი (20), ველში (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | +18 | 4 |
| რომა | 2 | 1 | 1 | +7 | 3 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | -15 | 3 |
| უნიკახა | 2 | 0 | 2 | -10 | 2 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

21 თებერვალი

**მინესოტა 99:100 სან ანტონიო**

მინესოტა: ჯეფერსონი (28), ტელფაირი (15), მაკკანტსი (15)

სან ანტონიო: ჯინობილი (44), დანკანი (24 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი, 4 დაფარება, 3 ჩაჭრა), ფინლი (13)

**ჰიუსტონი 112:100 მაიამი**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (23 ქულა, 10 მოხსნა), მინი (21), ლენდრი (19), ალსტონი (16 ქულა, 11 პასი), ბეტიე (12), სკოლა (11 ქულა, 19 მოხსნა)

მაიამი: ვეიდი (33 ქულა,, 11 პასი), მერიონი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**პორტლენდი 92:88 სიეტლი**

პორტლენდი: როი (19 ქულა, 14 მოხსნა), აუთლოო (19), ოლდრიჯი (18 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ჯეკი (15)

სიეტლი: დურანტი (20), უოტსონი (15), გრინი (13), კოლისონი (13 ქულა, 14 მოხსნა)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 41 | 11 | 78,8 |
| ტორონტო | 29 | 23 | 55,8 |
| ნიუ ჯერსი | 24 | 30 | 44,4 |
| ფილადელფია | 24 | 31 | 43,6 |
| ნიუ იორკი | 16 | 38 | 29,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 39 | 15 | 72,2 |
| კლივლენდი | 30 | 24 | 55,6 |
| ჩიკაგო | 21 | 32 | 39,6 |
| ინდიანა | 21 | 33 | 38,9 |
| მილუოკი | 20 | 34 | 37,0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 34 | 22 | 60,7 |
| ვაშინგტონი | 25 | 28 | 47,2 |
| ატლანტა | 21 | 30 | 41,2 |
| შარლოტი | 19 | 35 | 35,2 |
| მაიამი | 9 | 43 | 17,3 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 37 | 15 | 71,2 |
| სან ანტონიო | 36 | 17 | 67,9 |
| დალასი | 35 | 19 | 64,8 |
| ჰიუსტონი | 34 | 20 | 63,0 |
| მემფისი | 14 | 40 | 25,9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 35 | 19 | 64,8 |
| დენვერი | 33 | 20 | 62,3 |
| პორტლენდი | 29 | 25 | 53,7 |
| სიეტლი | 14 | 39 | 26,4 |
| მინესოტა | 11 | 42 | 20,8 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 37 | 17 | 68,5 |
| ფინიქსი | 37 | 17 | 68,5 |
| გოლდენ სტეიტი | 33 | 21 | 61,1 |
| საკრამენტო | 25 | 28 | 47,2 |
| კლიპერსი | 18 | 33 | 35,3 |




დავით წიკლაური, თენგიზ მესხაძე და გია გალდავა

# პესკარაში პეკინი გათამაშდება

## მოკრივეები ლიცენზიებს გვპირდებიან

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრები კვირას იტალიის ქალაქ პესკარაში გაემგზავრება და საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. პესკარა ტურნირს 25 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით უმასპინძლებს. ქართველ მოკრივეებს საპეკინო ლიცენზია ჯერ არ დაუსაკუთრებიათ და ამიტომაც ეს შეჯიბრი ჩვენი ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესია. ჩინეთის საგზურის მოსაპოვებლად მოკრივეებს კიდევ ერთი შანსი ექნებათ, როდესაც აპრილში საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირზე გამოვლენ.

ნაკრების თავკაც თენგიზ მესხაძეს იტალიაში 8 მოკრივე მიჰყავს. სამ წონაში 48,51,91-ში კი წარმომადგენელი არ გვეყოლება. ლიცენზიისთვის ეს ბიჭები იჩხუბებენ — ნიკოლოზ იზორია (54 კგ), კობა ფხაკაძე (57), კონსტანტინე კუპატაძე (60), ლევან ღვამიჩავა (64), კახა ჟვანია (69), გიორგი ნაკანი (75 ), დავით წიკლაური (81) ბექა ლობჟანიძე (+91).

პესკარას საერთაშორისო ტურნირზე ლიცენზიები შემდეგი პრინციპით გათამაშდება — 54, 57, 69 და 75 წონით კატეგორიებში ლიცენზიებს ფინალისტები და მესამე ადგილოსნებს შორის გამარჯვებული მოიპოვებს. დანარჩენ წონებში კი ჩინეთში გამგზავრების უფლებას მხოლოდ ფინალისტები მიიღებენ.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით, სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ნაკრების თავკაცი თენგიზ მესხაძე, მოკრივე დავით წიკლაური და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა ესაუბრნენ.

*თენგიზ მესხაძე* — ძალიან დატვირთული წელიწადია. ყველა ქვეყანა ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ლიცენზია აიღოს. როცა მე ნაკრები ჩავიბარე, პირველი ეტაპიდანვე დავიწყეთ მზადება ოლიმპიური ციკლისთვის. გავიარეთ ბაკურიანის შეკრება, მერე უკრაინაში ვიყავით. მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ლიცენზია თამაშდებოდა, ხელცარიელი დავრჩით. არადა, 64 კგ-ში შეგვეძლო, მაგრამ ბოლო ორ რაუნდში წაგვაგებინეს. ახლა ბიჭები მოტივირებულნი არიან და ყველაფერს გაიღებენ, რომ ლიცენზიის გარეშე არ დავრჩეთ.

მნიშვნელოვანი იყო მოსამზადებელი შეკრებები უკრაინაში — ჯერ „ალუშტაში", მერე კი „კონჩაზასპის" ოლიმპიურ ბაზაზე, სადაც უკრაინის ნაკრებთან ერთად ვვარჯიშობდით.

იტალიაში რვა კაცი მიმყავს — სამი წონა კი თავისუფალი რჩება, რადგან ამ წონებში სათანადო დონის მოკრივეები არ გვყავს, თუმცა ნიჭიერი ბიჭები არიან და მჯერა, შევსება იქნება. ჩვენ ათენის ოლიმპიადაზე ორი კაცი გამოვიყვანეთ, ახლა კი ბევრად უკეთეს პირობებში გვიწევს მომზადება. ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ გვაქვს. პესკარაში პროგრამა-მაქსიმუმი 2 ლიცენზია იქნება, მინიმუმი კი — ერთი. 8 მოკრივედან ყველა კარგად არის მომზადებული და ამიტომ ყველას იმედი მაქვს. თითოეულ მათგანს შეუძლია შედეგის ჩვენება...

აქვე სხვა სიახლეზეც გეტყვით. უკვე გადაწყვეტილია, რომ სამომავლოდ თბილისში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი. ადრე ჩვენი დედაქალაქი „საღამოს თბილისის" ტურნირს მასპინძლობდა, თუმცა, მერე ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამო, ალმა ათამ წაიღო ეს შეჯიბრი. საერთაშორისო ფედერაცია თანახმაა, რომ თბილისმა მსგავს ტურნირს ისევ უმასპინძლოს. ამ საქმეში სპორტის დეპარტამენტიც მხარს გვიჭერს. ასევე, უკრაინის ნაკრებთან გაფორმდება შეთანხმება და მათი კადეტთა, ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები ჩამოვლენ საქართველოში ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად. ეს ძალიან წაგვადგება.

*გია გალდავა* — სპორტის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს მოკრივეებთან. თუმც იყო ხარვეზები იმავე დაფინანსების თვალსაზრისითაც. მიგვაჩნია, რომ ის გეგმა, რომლითაც ნაკრები ოლიმპიური ციკლისთვის ემზადება, სწორად არის შემუშავებული. ბიჭები მზად არიან, რომ ლიცენზია მოიპოვონ და ეს სიურპრიზი სულაც არ იქნება.

*დავით წიკლაური* — მოსამზადებლად მაქსიმალურად კარგი პირობები გვქონდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე უმედლოდ დავრჩით, ახლა იტალიაში საბრძოლველად მივდივართ. გვინდა, ის შრომა, რაც მომზადებაში ჩავდეთ, სათანადოდ გამოვიყენოთ. გუნდში შესანიშნავი განწყობაა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართველი ქომაგი გავახაროთ.

**ლექსო მაისურაძე**



# სკალპებზე ნადირობა

**კაცები**
როტერდამი. ჰოლანდია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 824 000 ევრო

**მეორე წრე**

**ანდრეა სეპი** (იტალია) — რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) 3:6 6:3 6:4; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:4 6:1; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ტომაშ ბერდიხი (5, ჩეხეთი) 6:4 6:4; **მიშა ზვერევი** (გერმანია) — დავიდ ფერერი (3, ესპანეთი) 6:4 6:4; **რობინ ჰაასე** (ჰოლანდია) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 5:7 6:3 6:3; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (2, რუსეთი) 6:3 7:5

**კაცები**
ბუენოს აირესი. არგენტინა. თიხა
საპრიზო 466 000 $

**მეორე წრე**

**მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) — ნიკოლას ალმაგრო (5, ესპანეთი) 6:2 2:6 6:3; **იგორ ანდრეევი** (6, რუსეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:1 0:6 6:4; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — დანიელ ხიმენო ტრავერი (ესპანეთი) 6:3 6:4; **ფილიპო ვოლანდრი** (6, იტალია) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 7:5 7:5; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ლუის ჰორნა (პერუ) 3:6 6:2 6:2

**კაცები**
სან ხოსე. აშშ. ჰარდი
საპრიზო 436 000 $

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — კეი შიკორი (იაპონია) 6:2 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — დენის გრემელმაიერი (გერმანია) 6:7 6:3 6:3; **ჯონ აიზნერი** (აშშ) — ტომი ჰაასი (3, გერმანია) 4:6 7:6 6:3; **იენ ჩსუნ-ლუ** (ტაივანი) — უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:4 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (2, აშშ) — ჯეს ლევაინი (აშშ) 6:3 6:4

**ქალები**
დოჰა. ყატარი. ჰარდი
საპრიზო 2 500 000 $

**მესამე წრე**

**აგნეშკა რადვანსკა** (16, პოლონეთი) — ანა ივანოვიჩი (1, სერბეთი) უარი; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — ვინუს უილიამსი (5, აშშ) 6:3 6:3; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:2 6:2; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპანეთი) 3:6 7:6 6:3; **ნა ლი** (ჩინეთი) — შაჰარ პირი (12, ისრაელი) 6:1 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:1 6:2; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — დინარა საფინა (11, რუსეთი) 7:5 6:3; **სიბილ ბამერი** (15, ავსტრია) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 6:3 7:6

**ქალები**
ბოგოტა. კოლუმბია. თიხა
საპრიზო 200 000 $

**მეორე წრე**

**ბეტინა ხოსამი** (არგენტინა) — მარია კორიცევა (უკრაინა) უარი; **მარტინა მიულერი** (გერმანია) — სორანა კირსტეა (რუმინეთი) 6:2 6:2; **კარლა სუარეს ნავარო** (ესპანეთი) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:4 6:3; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — პაულინ პარმენტიე (საფრანგთი) 3:6 6:4 6:4

**თითქოს** როტერდამში ბობოლებზე ოფიციალური ნადირობა გამოაცხადესო, განთესილებს ტურნირის პირველივე დღიდან უმოწყალოდ დაერივნენ და ისე წარმატებითაც, რომ მეოთხედფინალამდე ერთმაც კი ვერ მიაღწია. ბოლოს ასეთი რამ 2006 წელს ნოტინგემში მოხდა, მანამდე კი 2002 წელს ბუენოს-აირესში.

მეორე წრეში სულაც მოულოდნელობათა მთელი კასკადი ვნახეთ — მარტო ის რად ღირს, რომ ჰოლანდიიდან ტურნირზე განთესილი საუკეთესო სამეული დაიფრინეს, თანაც რანგით გაცილებით დაბლა მდგომმა მეჩოგნეებმა.

პირველად სკალპი მესამე ნომერ დავიდ ფერერს ახადეს, როცა ესპან[illegible]ოს 98-ე ჩოგანმა მიშა ზვერევმა გაანადგურა და სულ რაღაც საათსა და 20 წუთში მოუთავა საქმე. შარშანდელი უძლიერესი სეზონის შემდეგ წლეულს ეს ესპანელი ძალიან მარცხიანად იქნევს ჩოგანს და ასეთი ტემპით თუ გააგრძელა, ტოპ-ათეულიდან მალევე გამოაპინტრიშებენ. ცოტა ხანში ფერერს მიაყოლეს მეორე ნომერი ნიკოლაი დავიდენკოც — ესპანელისა არ იყოს, რუსმაც ამაზრზენად ითამაშა და მიშელ ლოდრაც ორ სეტში ჩაეტია.

ამ „გენიალურ" დღეს სულაც ფანტასტიური დასასრული ჰქონდა, როცა ანდრეას სეპიმ ტურნირის მთავარი ფავორიტი რაფაელ ნადალი მიჩეჩქვა. ეტყობა, მალიორკელისთვის ჰარდი კვლავაც ყველაზე საძაგელ საფარად რჩება და ამიტომაცაა, ძალიან ხშირად უჩვეულოდ უკბილოდ რომ გამოიყურება. ისე, რაფამ კარგად კი დაიწყო და სეტიც მოიგო, მაგრამ შემდეგ კორტზე ღირებული არაფერი გაუკეთებია და წაგებაც დაიმსახურა. სეპიმ ზედიზედ მეორე სენსაცია შემოგვათავაზა და პირველ წრეში ლეიტონ ჰიუიტის წაქცევას კიდევ უფრო შთამბეჭდავი გამარჯვება მოუმატა.

განსაკუთრებული არაფერი ხდება ბუენოს-აირესსა და სან ხოსეში — ორივეგან მუსიკას მასპინძლები უკვეთავენ და ამიტომ მეოთხედფინალებშიც უმეტესობას წარმოადგენენ.

სამაგიეროდ, საინტერესო ამბები იყო დოჰაში მიმდინარე ქალთა ძალიან წარმომადგენლობით ტურნირზე, სადაც დაახლოებით როტერდამის კალიბრის მოვლენები დატრიალდა — ყატარშიც რამდენიმე ბობოლა დააჩოქეს, თუმც აზიაში ჰოლანდიისგან განსხვავებით, ერთი-ორი განთესილი მაინც შემორჩა.

ტურნირს გამოეთხოვა პირველი ნომერი ანა ივანოვიჩი — ოღონდ სერბი არ დამარცხებულა. ბალკანელმა თამაშიც ვერ მოახერხა, რადგან მეორე წრეში ოლგა გოვორცოვასთან ფეხი იტკინა და კორტზე სულაც ვერ გავიდა, რის გამოც მეოთხედფინალის საგზური აგნეშკა რადვანსკას დაუთმო.

მთავარი სენსაცია კი 20 წლის დომინიკა ციბულკოვას მიერ ვინუს უილიამსის განადგურება იყო. სლოვაკმა გამოცდილი ამერიკელისგან ქვა ქვაზე არ დატოვა და თავისი კოხტა თამაშით ისე აუბნია თავგზა, რომ უფროსი შავდა ნამატჩევს ცოტა რეტდასხმულიც კი გახლდათ. ციბულკოვამ, რომელსაც აქამდე ტოპ-ოცეულის წარმომადგენლისთვის ერთხელაც არ მოეგო, ჯერ მე-13 ნომერი პატი შნიდერი დაჩაგრა და ახლა არც მე-5 ვინუსი დაინდო.

სამაგიეროდ დოჰას ჯერ კიდევ შემორჩნენ ელენა იანკოვიჩი და მარია შარაპოვა. მესამე წრის შეხვედრებში ორივემ შთამბეჭდავად იმარჯვა, რაც მათ ტურნირის უეჭველ ფავორიტებად აქცევს — თუმც ეგებ არც ღირდეს ამის თქმა, რადგან ამ კვირაში ფავორიტის სტატუსს ხეირი არავისთვის მოუტანია და იქნებ ამათაც აწყინოს.

**კახა ლომაშვილი**

თქვენი ინტერვიუ

**ტიმ ლეინთან**

**საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი**

*რუბრიკის რესპონდენტ ტიმ ლეინთან კითხვები 23 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ, ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელთან ინტერვიუ კი ეროვნული გუნდის პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com



ავტორბოლა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1 — №1 საავტომობილო ზეთი

# ნაკაჯიმამ ბოლიდები გააკვირვა


კაძუკი ნაკაჯიმა

**ᲐᲰᲐ,** როგორც იქნა, მოხერხდა და ბარსელონაში მიმდინარე წინასასეზონო ტესტების მესამე დღეს ტრასაზე ერთდროულად გავიდნენ „ფერარისა" და „მაკლარენის" ბოლიდები. ოღონდაც, ეს ბობოლა გუნდები, რომლებიც წლევანდელი ჩემპიონატის ფავორიტებად ითვლებიან, პირველი ნომრების გარეშე იყვნენ — მსოფლიოს ჩემპიონი კიმი რაიკონენი და ვიცე-ჩემპიონი ლუის ჰემილტონი „კატალუნია მონტმელოზე" არ გამოჩენილან. მათ ნაცვლად ფელიპე მასასა და ჰეიკი კოვალაინენს პარტნიორობას ტესტ-პილოტები, შესაბამისად, ლუკა ბადოერი და პედრო დე ლა როსა უწევდნენ.

წინა დღეებისგან განსხვავებით, ამჯერად არ წვიმდა, ასფალტი მშრალი იყო და კატალონიაში შეკრებილმა პილოტებმა გვარიანად იმუშავეს.

დღის პირველ ნახევარში საუკეთესო დრო მასას ჰქონდა — 1.22,442 და შესვენების შემდეგ ბრაზილიელმა ამ შედეგს კიდევ 0,229 წამი ჩამოაკლო, მაგრამ საბოლოო ჯამში მხოლოდ მეოთხე იყო ორივე „მაკლარენისა" და რაც ყველაზე საინტერესოა, კაძუკი ნაკაჯიმას „უილიამსის" შემდეგ.

სწორედ ნაკაჯიმამ აჩვენა დღის საუკეთესო შედეგი — წუთი და 22,153 წამი. კოვალაინენი (1.22,185) და დე ლა როსა (1.22,208) იაპონელს მცირედით ჩამორჩნენ. ნაკაჯიმას გერმანელი თანაგუნდელი ნიკო როსბერგი, რომელმაც კვლავ ყველაზე მეტი, 109 წრე გაიარა, 1.22,248 შედეგით მეხუთე იყო და მის უკან მარკ ვებერისა და დევიდ კულტჰარდის „რედ ბულები" განლაგდნენ. მერვე ბადოერი იყო, მეცხრე — ფერნანდო ალონსო თავისი „რენოთი" და მეათე კი „ტოიოტას" გერმანელი ტიმო გლოკი.

მთლიანობაში, უაღრესად მჭიდრო შედეგები იქნა ნაჩვენები — პირველსა და მეათე დროს შორის სხვაობა ოდენ წამის 748 მეათასედი იყო.

ამასობაში, თავიანთი ვალენსიური ტესტები დაასრულეს „BMW-ზაუბერის" პილოტებმა. ვალენსიაში მხოლოდ გერმანული საჯინიბო იყო ჩასული და რობერტ კუბიცამ, ნიკ ჰაილფელდმა და ტესტ-პილოტმა კრისტიან კლიენმა სესიის დასკვნით, მზიან დღეს ბლომად კილომეტრები გაიარეს.

**ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲔ**

რაგბი

# ლოკომოტივი პროფესიონალობის გზას დაადგა

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ყველაზე ტიტულიანი სარაგბო კლუბი „ლოკომოტივი" „სილქ როუდ ჯგუფმა" შეიძინა. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" რაგბის კავშირმა კლუბის ახალი მფლობელები და სპონსორები მასმედიას წარუდგინა.

ბოლო ხანებში „ლოკომოტივი" ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი. საქართველოს ჩემპიონატში ადრე ძლევამოსილმა გუნდმა წელს ვერც ერთ ტიტულს ვერ გამოჰკრა ხელი, ერთხანს სახელიც შეიცვალა და „ლიგამუსი" დაიქვა.

ახლა კლუბის ხელმძღვანელობა და რაგბის კავშირი ამ გარიგებას იმედიანად უყურებს. აი, რა განაცხადა ჩვენთან საუბარში რაგბის კავშირის ჯერაც ვიცე-პრეზიდენტმა და კავშირის ხვალინდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთადერთმა კანდიდატმა გიორგი ნიჟარაძემ: „მინდა, მოგახსენოთ, რომ ისტორიულ გარიგებას ჩაეყარა საფუძველი. დიდი მადლობა „სილქ როუდ ჯგუფს" გაწეული დახმარებისთვის. ეს ამბავი სხვა კომპანიებისთვისაც სამაგალითო იქნება. არც ერთი ბიზნესმენი, რომელიც ჩვენთან ითანამშრომლებს, გარწმუნებთ, წაგებული არ დარჩება. კომპანია, რომელიც რომელიმე ქართული კლუბის სპონსორი გახდება, ავტომატურად იღებს საქართველოს რაგბის კავშირის პარტნიორის სტატუსს, რაც თავისთავად ფართო ასპარეზია რეკლამისთვის.

რაც შეეხება „ლოკომოტივს", საშუალება მიეცემა, ჰქონდეს კარგი ინფრასტრუქტურა, შეექმნება მაღალ დონეზე მომზადების ყველანაირი პირობა. მოკლედ, ეს პირველი ნაბიჯები იქნება საქართველოში პროფესიული სარაგბო კლუბის ჩამოსაყალიბებლად. ასეთი კლუბის შექმნამდე მართალია, ჯერჯერობით ბევრი გვაკლია, მაგრამ ვფიქრობთ, ამ მიზნის მიღწევისთვის სტრუქტურულად სწორი გზა ავირჩიეთ".

ბოლოს გეტყვით, რომ „ლოკომოტივს" დამდეგ სეზონში „ბტა სილქ როუდ" ბანკი და კომპანია „ვისოლიც" დაასპონსორებენ.

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

21 თებერვალი

**ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲡᲘ 1:0 ᲢᲐᲛᲞᲐ**
*0:0 0:0 1:0*
1:0 შატანი (46)

**ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 5:3 ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ**
*0:0 3:2 2:1*
1:0 უიტნი (23), 1:1 პერენი (24), 2:1 ბეიდა (25), 3:1 სამსონოვი (33), 3:2 რეკი (37), 4:2 უოკერი (44), 5:2 ოკოინი (49), 5:3 უაიტი (59)

**ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 1:3 ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ**
*0:1 1:0 0:2*
0:1 ჩიჩუ (16), 1:1 კნუბლი (40), 1:2 მიხალეკი (44), 1:3 მიურეი (45)

**ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ 4:5 ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ**
*0:2 2:1 2:2*
0:1 უიტნი (7), 0:2 რუუტუ (19), 1:2 კოივუ (24), 1:3 მელოუნი (7), 2:3 ჰიგინსი (39), 3:3 რეიდერი (41), 4:3 ჰამრლიკი (44), 4:4 მალკინი (51), 4:5 გონჩარი (51)

**ᲝᲢᲐᲕᲐ 2:3 ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲣᲡᲘ**
*1:0 1:1 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 სტივმანი (1), 1:1 ნეში (25), 2:1 მესაროში (32), 2:2 ფიოდოროვი (46)

**ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 1:5 ᲑᲣᲤᲐᲚᲝ**
*0:1 1:3 0:1*
0:1 კემპბელი (3), 0:2 ვანეკი (21), 1:2 კუბინა (23), 1:3 კოტალიკი (29), 1:4 როი (35), 1:5 კოტალიკი (60)

**ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ 4:5 ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ**
*1:0 3:2 0:2 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 ბაუმისტერი (3), 1:1 შტურმი (22), 2:1 მონტადორი (30), 3:1 ოლეში (33), 3:2 უაიდმენი (37), 4:2 კრეპსი (40), 4:3 ხარა (54), 4:4 კესელი (55)

**ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ 2:3 ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ**
*0:1 1:1 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 რეიმონდი (20), 1:1 არნოტი (26), 1:2 ედლერი (33), 2:2 ჟიდლიცკი (54)

**ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ 5:1 ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ**
*0:0 4:0 1:1*
1:0 კოპიტარი (27), 2:0 ფროლოვი (29), 3:0 ფროლოვი (31), 4:0 ოსალივანი (34), 5:0 ფროლოვი (24), 5:1 რუჩინსკი (46)

ძიუდო

# ქუდშითავიანი ქართველები ჰამბურგში ქართველებს ცდიან

## ბეთქილ შუკვანის იპონით დაწყებული რეპეშაჟით და იპონით დასრულდა



**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ნაკრები ჰამბურგის მსოფლიოს სუპერთასზე გადახალისებული შემადგენლობით გაემგზავრა. მას მერე, რაც ჩვენებმა ოლიმპიადის საგზურები გაინაღდეს, ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ამ ტურნირზე ეროვნული გუნდის სხვა წევრებიც გამოეცადა.

ჰამბურგის ტურნირი სხვა მსოფლიოს თასებისგან განსხვავებით, სამდღიანია — გუშინ დაიწყო და 24-ში დასრულდება.

შეჯიბრების პირველ დღეს 60 და 66 კგ წონით კატეგორიებში გაიმართა ორთაბრძოლები. 60 კგ-ში ბეთქილ შუკვანი გამოვიდა, რომელმაც პირველი შეხვედრა იტალიელ მარკო კაუდანას იპონით მოუგო, შემდეგ რუს ევგენი კუდიაკოვსაც კოკათი გაუსწორდა, მაგრამ მესამე ორთაბრძოლაში ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერთან ველარაფერს გახდა. რეპეშაჟში შუკვანი იპონით არგენტინელ მიგელ ალბარაცინთან დამარცხდა.

66 კგ წონით კატეგორიაში სანდრო იაკობაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი გამოდიოდნენ. სამწუხაროდ, ორივენი თავიანთ პირველ შეხვედრებშივე დამარცხდნენ — სანდრომ გერმანელ იონას ფიკესთან წააგო, ზებედამ კი მოლდოველ მარსელ ტრუდოვთან.

81 კგ-ში ხვიჩა ხუციშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილი იჭიდავებენ. უკვე გარკვეულია მათი პირველი მეტოქეების ვინაობაც — ხუციშვილი ჩეხ ირჟი პოკორნის ხვდება, შინჯიკაშვილი კი ახალზელანდიელ რაიან დილ-რასელს.

100 კგ-ში ნოდარ მეტრეველის მოწინააღმდეგე უზბეკი ოტკირ ყურბანოვი იქნება.

73, 90-სა და მძიმე წონით კატეგორიებში წარმომადგენლები არ გვყავს.

ჰამბურგის ტურნირის დასრულების შემდეგ ნაკრები გერმანიაში 28 თებერვლამდე დარჩება, სადაც ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებს მონაწილეობას, 25 თებერვლიდან კი ვარჯიშებს ქართველ ძიუდოისტთა ძირითადი გუნდიც შეუერთდება.

შემდეგ ჩვენები საბრძოლო შემადგენლობით ჩეხეთში ჩავლენ, სადაც 1-2 მარტს მსოფლიოს თასი გაიმართება. პრაღაში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით იჭიდავებს: 66 კგ — ნესტორ ხერგიანი და მინდია ხომიზური, 73 კგ — ზაზა კედელაშვილი და ზურაბ დილებაშვილი, 81 კგ — გიორგი ბანდურაშვილი და საბა გავაშელაშვილი, 90 კგ — ირაკლი ცირეკიძე და ზურაბ ზვიადაური, 100 კგ — ლევან ჟორჟოლიანი და მძიმეში — ლაშა გუჯეჯიანი. 60 კგ წონით კატეგორიაში წარმომადგენელი არ გვეყოლება.

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ**

მთის თხილამურობა

| მსოფლიოს თასი. კაცები. ვისტლერი. კანადა. 21-24 თებერვალი | |
|---|---|
| **სუპერგიგანტი** | |
| 1. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) | 1 წთ 26,60 წმ |
| 2. ჰანეს რაიხელტი (ავსტრია) | 1.26,63 |
| 3. ალეს გორცა (სლოვენია) | 1.26,71 |
| 4-5. პატრიკ შტაუდახერი (იტალია) | 1.26,89 |
| 4-5. ერიკ გუაი (კანადა) | 1.26,89 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 1067 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 998 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 918 |
| 4. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 682 |
| 5. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 670 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge